გაყალბებული ისტორია პოლიტიკის სამსახურში

2019 წლის 9 ივლისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ვლადიმირ პუტინმა** ქალაქ ეკატერინბურგში ყოფნისას ისაუბრა საქართველოს ისტორიის ფუნდამენტურ საკითხებზე და ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა საკუთარი მცდარი ინტერპრეტაციით წარმოადგინა. რუსეთის პრეზიდენტის საუბრის ტექსტის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიის უხეშ გაყალბებასთან და იმის მცდელობასთან, რომ გაყალბებული ისტორია პოლიტიკური მიზნებისათვის იქნას გამოყენებული. შევეცდებით რუსეთის პრეზიდენტის საუბრიდან გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი და პასუხი გავცეთ მას.

I. ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა: **„არავითარი საქართველო არ ყოფილა, ეს იყო თბილისის გუბერნია“** („Никакой Грузии не было, это была Тифлисская губерния»). ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ქართული სახელმწიფო, ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში, სამეფო-სამთავროებად დაიშალა. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული: **ქართლის სამეფო, კახეთის სამეფო** (ეს ორი სამეფო 1762 წელს ქართლ-კახეთის სამეფოდ გაერთიანდა), **იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, აფხაზეთის სამთავრო, სვანეთის სამთავრო.** XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში, სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში **ქართლ-კახეთის სამეფოს** ხშირად **საქართველოდ („Грузия**“) იხსენიებენ, ხოლო ერეკლე II - **საქართველოს მეფედ („Царь Грузий“)**. მიუხედავად ამისა, დოკუმენტების შინაარსიდან სავსებით ცხადი ხდება, რომ საუბარია არა საქართველოზე, არამედ ქართლ-კახეთის სამეფოზე, არა საქართველოს მეფეზე, არამედ ქართლ-კახეთის მეფეზე. რუსეთის საიმპერატორო კარზე, ისე, როგორც საგარეო და სამხედრო უწყებებში, კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ანუ იმ ტერიტორიაზე, სადაც ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანების შედეგად X საუკუნეში ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელმაც XV საუკუნის მეორე ნახევრამდე იარსება, XVIII საუკუნისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს გარდა ,არსებობდა რამდენიმე ქართული სამეფო და სამთავრო: **იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, აფხაზეთის სამთავრო, სვანეთის სამთავრო.** ისიც კარგად უწყოდნენ, რომ სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის მთავრები იმერეთის მეფის ვასალები იყვნენ, ანუ ამ სამთავროების ტერიტორიაზე იმერეთის მეფის იურისდიქცია ვრცელდებოდა. მოგვიანებით, იმერეთის სამეფოს დასუსტების კვალდაკვალ სამთავროებში განდგომისაკენ მისწრაფება გაძლიერდა,

მთავრები ცდილობდნენ იმერეთის მეფეს აღარ დამორჩილებოდნენ, მიუხედავად ამისა, სამართლებრივი თვალსაზრისით სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის მთავრები მაინც იმერეთის მეფის ვასალებად რჩებოდნენ. სამთავროებში სეპარატისტულ მისწრაფებებს XVIII საუკუნეში მხარს უჭერდა და აღვივებდა ოსმალეთი, ხოლო XVIII საუკუნის ბოლოდან - რუსეთის იმპერია. იმერეთის მეფეები **სოლომონ I** (1752-1784) და **სოლომონ II** (1789-1809) მთავრების ურჩობას არასდროს შეგუებიან. **სოლომონ II**-მ საქართველოს მთავარსარდალს გენერალ პაველ ციციანოვს ოფიციალური პროტესტითაც კი მიმართა, როცა 1804 წელს რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრ I**-მა სამეგრელოს მთავარი **გრიგოლ დადიანი** ქვეშევრდომობაში მიიღო. იმერეთის მეფე დაუფარავად აცხადებდა, რომ სამეგრელოს მთავარი მისი ქვეშევრდომი იყო და რუსეთის იმპერატორს არ ჰქონდა უფლება სამეგრელოს მთავრის ქვეშევრდომობაში მიღებისა. **სოლომონ II**-მ 1804 წელს ასევე ოფიციალურად აცნობა პაველ ციციანოვს, რომ გურიის მთავარი იმერეთის მეფის ქვეშევრდომი იყო. ცხადია, **სოლომონ II**-ის პოზიცია კარგად იცოდნენ პეტერბურგშიც, თუმცა მეფის სამართლიან მოთხოვნას ანგარიშს არ უწევდნენ.

საქართველო 1801 წლისათვის, ანუ იმ დროისათვის, როდესაც რუსეთი მის დაპყრობას შეუდგა, არსებოდა, მართალია არა ერთიანი მონარქიის სახით, არამედ სამეფო-სამთავროების სახით. ერთიანი მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლა კანონზომიერი პროცესი იყო ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც. არცერთ ქართველ ისტორიკოსს დღემდე აზრად არ მოსვლია ემტკიცებინა რუსეთის სახელმწიფო მხოლოდ მოსკოვის სამთავრო იყო და რუსეთად არ მოიაზრებოდა ის პოლიტიკური ერთეულები (დიდი ნოვგოროდი, ტვერის სამთავრო, სმოლენსკის სამთავრო, რიაზანის სამთავრო და სხვ.), რომლებიც კიევის რუსეთის დაშლის შემდეგ არსებობდნენ რუსეთის ტერიტორიაზე.

ქართლ-კახეთის დანარჩენი საქართველოდან გამოყოფა უფრო ზუსტად მისი საქართველოდ წარმოდგენა შემდგომ ხანებშიც გრძელდებოდა. 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა **ალექსანდრ I-მა** ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა.

1. **ალექსანდრ I-ის** 1801 წლის 12 სექტემბრის რესკრიპტში საქართველოს მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ **კარლ კნორინგისადმი** განსაზღვრული იყო ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსული ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბების პრინციპები. ამ დოკუმენტში გაუგებრობას იწვევდა ის ფაქტი, რომ კარლ კნორინგი **საქართველოს მთავარსარდლად** დაინიშნა მაშინ, როდესაც მისი, როგორც უმაღლესი მოხელის, იურისდიქცია მხოლოდ ყოფილი ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, რადგან იმ დროისათვის ჯერ კიდევ არსებობდა იმერეთის სამეფო, რომელსაც ბაგრატიონი მეფე **სოლომონ II** ფლობდა,

ხოლო სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროებს მთავრები განაგებდნენ.

2. 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესად დამტკიცებული მოწოდება ქართველი ხალხისადმი იუწყებოდა, რომ იმპერატორ **ალექსანდრ** I-ის ნების თანახმად თბილისში დაარსდებოდა **საქართველოს უზენაესი მთავრობა** (საქართველოს უზენაესი მთავრობა მუშაობას 1802 წლის 8 მაისს შეუდგა, მისი თავმჯდომარე კარლ კნორინგი იყო). ამ დოკუმენტშიც შეუსაბამობაა. რეალურად, საქართველოს უზენაესი მთავრობის იურისდიქცია ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და გაუგებარია, რატომ ეწოდებოდა მას საქართველოს უზენაესი მთავრობა.

3. 1801 წლის 12 სექტემბერს უმაღლესად დამტკიცებული დადგენილება საქართველოს შინაგანი მმართველობის შესახებ იუწყებოდა, რომ უნდა შექმნილიყო **გორის, ლორეს, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის** მაზრები. დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ეს მაზრები ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფილ ტერიტორიას მოიცავდა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ განსაზღვრავდა ეს დოკუმენტი საქართველოს შინაგან მმართველობას მაშინ, როდესაც სამმართველო ტერიტორია ქართლ-კახეთის საზღვრებს არ სცილდებოდა?

4. იმავე კითხვებს ბადებს 1801 წლის 12 სექტემბერს უმაღლესად დამტკიცებული განმარტება საქართველოს მთავარსარდლის და საქართველოს უზენაესი მთავრობის თავმჯდომარის კარლ კნორინგისადმი, ამ დოკუმენტშიც საქართველოს უზენაესი მთავრობის იურისდიქციის სფეროდ **გორის, ლორეს, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის** მაზრების ანუ ქართლ-კახეთის ტერიტორიაა მიჩნეული.

რუსეთის საიმპერატორო კარმა აღებულ კურსს _ „გათიშე და იბატონე“_ არ უღალატა და კვლავ გააგრძელა ძველი პოლიტიკა: **ქართლ-კახეთის სამეფოსა და საქართველოს შორის ტოლობის ნიშნის დასმა.** მიზანი ცხადზე უცხადესი იყო: **იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, აფხაზეთის სამთავრო, სვანეთის სამთავრო საქართველო არ არის, იმერლები, მეგრელები, გურულები, აფხაზები** და **სვანები ქართველები არ არიან**. იმხანად ეს შეიძლება არც ისე ცხადად ჩანდა, მაგრამ დამპყრობელმა მალე ყველაფერი თავადვე გახადა ნათელი. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, 1897 წლის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერებში დაკარგულია „**ქართველის**“ საყოველთაო ცნება და მის ნაცვლად დაკანონებულია „**ქართველი**“ (ქართლ-კახეთის მოსახლეობა), „**იმერელი**“ (იმერეთის მოსახლეობა), „**მეგრელი**“ (სამეგრელოს მოსახლეობა), „**გურული**“ (გურიის მოსახლეობა), „**აფხაზი**“ (აფხაზეთის მოსახლეობა), „**სვანი**“ (სვანეთის მოსახლეობა), „**აჭარელი**“ (აჭარის მოსახლეობა). აფხაზეთში

კოლონიური პოლიტიკის განხორციელების პროცესში რუსეთის იმპერიის ხელისუფლება უფრო შორს წავიდა და სტატისტიკურ მასალაში **სოხუმის ოკრუგში** (აფხაზეთში) ქართველთა ხვედრითი წილის შემცირების მიზნით ისტორიული სამურზაყანოს მოსახლეობა (მეგრელები აბსოლუტური უმრავლესობით) დაყო **„მეგრელებად“** და **„სამურზაყანოელებად“**.

როგორც ვხედავთ რუსეთის იმპერატორის, რუსი დიპლომატებისა და სამხედროების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს საქართველოდ და ქართლ-კახეთის მეფის საქართველოს მეფედ მოხსენიება საკმაოდ კარგად გააზრებული პოლიტიკის დასაწყისი იყო, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დადასტურდა კიდეც XIX საუკუნეში.

II. სრულიად დაუსაბუთებელია ვლადიმირ პუტინის მტკიცება იმის თაობაზე, რომ საქართველო მხოლოდ თბილისის გუბერნია იყო. 1801 წელს რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა. 1809 წელს ტახტიდან გადააყენა იმერეთის მეფე სოლომონ II და სამეფოც გააუქმა (1810 წლიდან ყოფილი იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე ამოქმედდა მმართველობის განსაკუთრებული ორგანო - **„იმერეთის დროებითი მმართველობა“**). 1804 წელს რუსეთის იმპერატორმა სამეგრელოს მთავარი ქვეშევრდომობაში მიიღო. 1804 წელს რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი გახდა გურიის მთავარი, 1810 წელს - აფხაზეთის მთავარი. აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოში რუსეთის იმპერატორმა მეფობა დაუყოვნებლივ გააუქმა, ხოლო ქვეშევრდომობაში მიღებულ სამთავროებში მთავრის უკიდურესად შეზღუდული, ფაქტობრივად, ფიქტიური, ავტონომიური მმართველობა იქნა შენარჩუნებული. იმერეთის დროებით მმართველს თბილისიდან ოფიციალურად მიუთითეს, რომ მართალია, იგი იმერეთის მმართველად იყო დანიშნული, მაგრამ მისი იურისდიქცია სამთავროებზეც ვრცელდებოდა. ფაქტობრივად სამთავროებში ყველაფერს წყვეტდა საქართველოს მთავარსარდალი, რომელიც მთავრების პოზიციას არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მართალია, სამთავროებში სამოქალაქო საქმეები ქართული (ვახტანგ VI-ის) სამართლით წყდებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმეები (სისხლის სამართალი) რუსული კანონმდებლობით განისჯებოდა.

საქართველოში რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ერთბაშად არ შემოუღიათ. 1840 წლის 10 აპრილის კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში 1841 წლის 1 იანვრიდან შევიდა, რუსეთის მიერ დაპყრობილი მთელი სამხრეთ კავკასია ორ ადმინისტრაციულ ერთეულად - **საქართველო-იმერეთის გუბერნიად** და **კასპიის ოლქად** _ გაიყო. ამ შემთხვევაშიც აშკარა იყო ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შემუშავებული პოლიტიკის გაგრძელება. ტერმინის **საქართველო-იმერეთის** დაკანონება ცხადად ადასტურებდა იმას, რომ პეტერბურგში იმერეთს საქართველოში შემავალ ისტორიულ რეგიონად არ მიიჩნევდნენ და საქართველოსა და იმერეთს შორის

ტოლობის ნიშანს სვამდნენ. საქართველო-იმერეთის გუბერნიაში 11 მაზრა შედიოდა: **თბილისის, გორის, თელავის, ბელაქნის (ზაქათალის), ახალციხის, ქუთაისის, გურიის, ელისავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ნახჭევნის**. ამ დროისათვის გურიის სამთავრო უკვე საბოლოოდ გაუქმებული იყო (სამთავრო 1829 წელს გაუქმდა), ამიტომ სამთავროს ყოფილი ტერიტორია უკვე მაზრად აქციეს. რაც შეეხება სამეგრელოს, აფხაზეთსა და სვანეთს, იქ მთავრის უკიდურესად შეზღუდული ხელისუფლება ფორმალურად მაინც შენარჩუნებული იყო, რის გამოც ეს სამთავროები საქართველო-იმერეთის გუბერნიაში არ შედიოდნენ, თუმცა გუბერნიის უმაღლესი ხელისუფლებისაგან იმართებოდნენ. 1846 წელს სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შეიცვალა და ჩამოყალიბდა 4 გუბერნია: **თბილისის, ქუთაისის, შემახიისა** და **დარუბანდის (დერბენდის)**. თბილისის გუბერნია 5 მაზრად გაიყო: **თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღისა და ელისავეტოპოლის (განჯის).** გარდა მაზრებისა, გუბერნიის ტერიტორიაზე შეიქმნა 3 ოკრუგი: **თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ოსეთისა** და **მთის ხალხისა**.

1840 წლის 10 აპრილის კანონის მიღების დროისათვის იმერეთის ყოფილი სამთავროს ტერიტორია **იმერეთის ოლქად** იწოდებოდა, ხოლო გურიის სამთავროს ყოფილი ტერიტორია **გურიის ოკრუგად.** იმერეთის ოლქს დროებითი მმართველობა განაგებდა, გურიის ოკრუგს - ოკრუგის უფროსი.

1840 წლის 10 აპრილის კანონის შესაბამისად იმერეთი და გურია საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა. იმერეთისა და რაჭის ტერიტორია **ქუთაისის მაზრაში** მოექცა, გურიის ტერიტორია - **გურიის მაზრაში**. 1842 წელს გურიის მაზრა **გურიის სამხედრო ოლქად** გარდაიქმნა, რომლის სათავეში რუსი ოფიცერი იდგა. 1846 წლიდან გურიის სამხედრო ოლქი **ოზურგეთის მაზრად** გარდაიქმნა.

ქუთაისის გუბერნია 5 მაზრად იყოფოდა: **ქუთაისის, შოროპნის, რაჭის, ოზურგეთისა** და **ახალციხის.** 1840 წელს პეტერბურგიდან მიღებული მითითების თანახმად სამეგრელოს სამთავროს ტერიტორია, რომელსაც ოფიციალურად მთავარი ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი განაგებდა, 8 მაზრად გაიყო: **ზუგდიდის, ჯვარის, ზუბის, სუჯუნის, საჭილაოს, მარტვილის, ლაილაშისა** და **მურის**.

1864 წელს გაუქმდა აფხაზეთის ავტონომიური სამთავრო. 1866 წელს აფხაზეთში რუსეთის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მიმდინარეობდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ ყოფილი სამთავროს ტერიტორიაზე შეიქმნა **სოხუმის განყოფილება,** რომელიც შემდეგ **სოხუმის ოკრუგად** გადაკეთდა. სოხუმის ოკრუგი ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა და ამრიგად, ოკრუგის ტერიტორიაზე ქუთაისის გუბერნატორის იურისდიქცია ვრცელდებოდა. 1903 წალმდე სოხუმის ოკრუგის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდინარე ფსოუზე

გადიოდა. 1903 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მმართველობის რეფორმის შემდეგ სოხუმის ოკრუგს გაგრის სექტორი ჩამოართვეს და შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს გადასცეს.

1871-1874 წლებში გატარდა ადმინისტრაციული მმართველობის მორიგი რეფორმა. 1874 წელს თბილისის გუბერნიაში შემავალი **ზაქათალის ოკრუგი** (ჭარ-ბელაქანი) **კავკასიის მთიელთა სამმართველოს** ექვემდებარებოდა. საბოლოოდ **ზაქათალის ოკრუგი** თბილისის გუბერნიაში შევიდა.

1877-1878 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებითა და ბერლინის ტრაქტატის (1878 წ.) გადაწყვეტილებით ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო ერთ დროს მიტაცებული ქართული რეგიონები: **აჭარა, ართვინი** და ისტორიული **ტაო-კლარჯეთის** უდიდესი ნაწილი. 1878 წელს ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე შეიქმნა **ყარსის ოლქი** (ცენტრი ქალაქი ყარსი), რომელშიც თავდაპირველად 7 ოკრუგი შედიოდა: **ყარსის, არტაანის, ერუშეთის, თორთომის, შურაგელის, ყაღიზმანისა** და **ოლთისის**. მოგვიანებით ყარსის ოლქი 4 ოკრუგად გაიყო: **ყარსის, არტაანის, ოლთისისა** და **ყაღიზმანის**. 1878 წელს აჭარისა და ართვინის ტერიტორიაზე შეიქმნა **ბათუმის ოლქი** (ცენტრი ქალაქი ბათუმი), რომელშიც 3 ოკრუგი შედიოდა: **ბათუმის, ართვინისა** და **აჭარის**. მოგვიანებით ბათუმის ოლქი 2 ოკრუგად - **ბათუმისა** და **ართვინის ოკრუგებად** გაიყო. 1878 წელს შექმნილი ყარსის ოლქი 1917 წლამდე არსებობდა. ბათუმის ოლქი 1883 წელს გაუქმდა და მხოლოდ 1903 წელს აღდგა. მართალია, ოლქი აღდგა როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, მაგრამ ფაქტობრივად იგი ქუთაისის გუბერნატორის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

სამწუხაროა, რომ XXI საუკუნეში რუსეთის პრეზიდენტი იმეორეობს XIX საუკუნის ცნობილი ქართველთმოძულე რუსი მოხელის, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ **კირილ იანოვსკის** თვალსაზრისს ქართველების, როგორც ერთიანი ერისა და სახელმწიფოს, შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო 1917 წლისათვის, ანუ რუსეთის იმპერიის აღსასრულისათვის მარტო თბილისის გუბერნია კი არ იყო, არამედ საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით შემდეგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში გადანაწილდა: **თბილისის გუბერნია** ზაქათალის ოკრუგით (ჭარ-ბელაქნით), **ქუთაისის გუბერნია** სოხუმის ოკრუგითა (აფხაზეთით) და ბათუმის ოლქით (აჭარა-ართვინით), **ყარსის ოლქი** (ტაო-კლარჯეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი). აღსანიშნავია, რომ საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულებაში

საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გარკვეულ საზღვრებში ცნო.

1. საქართველოს ტერიტორიას შეეხო ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პარაგრაფი, მეოთხე მუხლის პირველი და მეორე პარაგრაფები:

ა) ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველ პარაგრაფში აღნიშნულია: საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის იწყებოდა **შავ ზღვაზე,** მიუყვებოდა მდინარე **ფსოუს ახახჩას** მთამდე, შემდეგ გასდევდა **ახახჩას მთას**, **აგაპეტას მთას** და მიუყვებოდა **შავი ზღვის, ქუთაისისა** და **თბილისის გუბერნიების** ჩრდილოეთ საზღვარს **ზაქათალის ოკრუგამდე,** გასდევდა ამ ოკრუგის აღმოსავლეთ საზღვარს **სომხეთის** საზღვრამდე („Государственная граница между Грузией и Россией проходит от Черного Моря по реке Псоу до горы Ахахча, через гору Ахахча и гору Агапета и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Арменией“);

ბ) ხელშეკრულების მეოთხე მუხლის პირველ პარაგრაფში ვკითხულობთ, რომ რუსეთი ვალდებულებას იღებდა, გარდა მესამე მუხლის პირველ პარაგრაფში მოხსენიებული ტერიტორიებისა, უპირობოდ ეცნო საქართველოს შემადგენლობაში შემავალად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები და ბათუმის ოლქი ყველა მაზრითა და ოკრუგით, რომლებიც შედიოდნენ ამ გუბერნიებისა და ოლქის შემადგენლობაში, ასევე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები („Россия обязуется признать безусловно входящими в состав Грузинского Государства, кроме отходящих к Грузии в силу пункта I статьи III настоящего договора частей Черноморской губернии, нижеследующие губернии и области бывшей Российской империи: Тифлисскую, Кутаисскую и Батумскую со всеми уездами и округами, составляющими означенные губернии и области, а также округа Закатальский и Сухумский“). მეოთხე მუხლის პირველი პარაგრაფი მოითხოვს ერთ განმარტებას: პირველი პარაგრაფის ძალით საქართველოს შემადგენლობაში გადადიოდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილი. ამის მიზეზი ის იყო, რომ 1903 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რეფორმის ძალით ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგს (აფხაზეთს) ჩამოაჭრეს ე.წ. **გაგრის სექტორი** და იგი შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს შეუერთეს. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მომზადების პროცესში საბჭოთა რუსეთი, საქართველოს დელეგაციის მოთხოვნით, დათმობაზე წავიდა და ძირძველი ქართული ტერიტორია (აფხაზეთის სამთავროს ნაწილი - გაგრის რაიონი) საქართველოს ტერიტორიად ცნო;

გ) საბჭოთა რუსეთს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად უნდა ეცნო **ყარსის ოლქი** (ტაო-კლარჯეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი - არტაანი, არტანუჯი, ოლთისი, ერუშეთი და სხვ.), მაგრამ რუსეთის მხარემ გაითვალისწინა ის,

რომ ოსმალეთი ამას პროტესტით შეხვდებოდა. ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობა იმხანად პოზიტიურად ვითარდებოდა, რაც გახდა კიდეც იმის საფუძველი, რომ საბჭოთა რუსეთმა ყარსის ოლქზე საქართველოს კანონიერი უფლება არ აღიარა. საბჭოთა რუსეთს მაინც მოუხდა გარკვეულ „დათმობაზე“ წასვლა. ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფში აღნიშნულია: სამომავლოდ, როცა საქართველო რუსეთის გარდა გაარკვევს თავის ურთიერთობას იმ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან, რომლებიც არსებობენ ან შეიქმნებიან საქართველოს მოსაზღვრედ, რუსეთი მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოში შემავალად ცნოს ყოფილი კავკასიის სამეფისნაცვლოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც საქართველოს გადაეცემა არსებულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან დადებული ხელშეკრულებით („Впоследствии, по мере выяснения взаимоотношения между Грузией и другими кроме России государственными образованиями, существующими или имеющими создаться и сопредельными с Грузией по другим границам, чем та, которая описана в предшествующей статье III настоящего договора, Россия выражает готовность признать входящими в состав Грузии те или иные части бывшего Кавказского Наместничества, которые отойдут к ней на основании заключенных с этими образованиями договоров“).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის „დათმობა“, რომელიც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პარაგრაფში აისახა, ფიქტიური იყო და არანაირი პრაქტიკული შედეგი მას არ მოჰყვებოდა. საქართველო ოსმალეთს ომით ყარსის ოლქის (ტაო-კლარჯეთის) ტერიტორიას ვერ დაათმობინებდა, ნებაყოფლობით კი ოსმალეთი ამ სტრატეგიულ ტერიტორიას, ცხადია, არ დათმობდა. უფრო მეტიც, 1921 წლის 16 მარტის საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულების პირველი მუხლით რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ყარსის ოლქის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (ყარსი, არტაანი, არტანუჯი, ოლთისი, ერუშეთი და სხვ.) და ზედ მიაყოლა ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგიც. ხელშეკრულების პირველი მუხლით ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა შავ ზღვაზე სოფელ **სარფთან,** მიუყვებოდა **ქედის მთას, შავშეთის მთებისა** და **კანნი-დაღის** წყალგამყოფს, შემდეგ გასდევდა ყარსის ოლქის **არტაანისა** და **ყარსის** ოკრუგების ჩრდილოეთ საზღვარს.

ასე რომ, საქართველო მარტო თბილისის გუბერნია არ ყოფილა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თუ რას წარმოადგენდა საქართველოს ისტორიული ტერიტორია, ამის აღიარება 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით მოუხდა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას (ვლადიმირ ლენინს, იოსებ სტალინს, ლევ ტროცკის და სხვებს), რომელსაც საქართველოს მიმართ კეთილგანწყობას ვერ დავწამებთ.

III. რუსეთის პრეზიდენტი გვარწმუნებს, რომ 1774 წელს როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ოსეთი ერთად შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში: «Осетия вошла в состав Российской империи, дай бог памяти, по-моему, в 1774 году. Вошла целиком: и южная, и северная часть – как самостоятельное государство». თუმცა არ ახსენებს, მაგრამ ვლადიმირ პუტინი გულისხმობს რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის დასრულების შემდეგ ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (1774 წ.) მომხდარ ტერიტორიულ ცვლილებებს - რუსეთსა და ოსმალეთს შორის ტერიტორიის გამიჯვნას. მთელი კატეგორიულობით უნდა განვაცხადოთ, რომ **ქუჩუკ-კაინარჯის ზავი ოსეთს (ჩრდილოეთ ოსეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს) საერთოდ არ შეხებია.** ზავი შეეხო ყაბარდოს, თუმცა რუსეთის შემადგენლობაში არც ყაბარდო გადასულა. ოსეთი ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთის შემადგენლობაში შესულად არ ითვლებოდა. ოსმა ისტორიკოსებმა იმის გამო, რომ საბჭოთა პერიოდში თითქმის შეჯიბრება იყო გამოცხადებული რომელი ხალხი უფრო ადრე შეუერთდა რუსეთს, წამოაყენეს მცდარი და დაუსაბუთებელი დებულება: ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ყაბარდო რუსეთს შეუერთდა და რადგან ოსეთი ყაბარდოს მთავარს ჰქონდა დაპყრობილი, ოსეთიც რუსეთის შემადგენლობაში ითვლებაო. აქ ორი საკითხია გასარკვევი: ა) ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ყაბარდო რუსეთის შემადგენლობაში არ შესულა; ბ) ყაბარდო რუსეთის შემადგენლობაში კიდეც რომ შესულიყო და მასთან ერთად რუსეთის შემადგენლობაში შესულიყო ოსეთი, ისმის კითხვა: **რა კავშირშია ყოველივე ამასთან ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ანუ ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილი?** ეს ტერიტორია ხომ არასდროს ყაბარდოს მთავარს არ დაუპყრია და ამდენად, არც ყაბარდოს შემადგენლობაში შესულა ოდესმე. ყოველივე ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და ვისაც ეჭვი ეპარება შეუძლია წაიკითხოს ცნობილი რუსი ისტორიკოსის **ელენა დრუჟინინას** გამოკვლევა (**Е. И. Дружинина**. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (его подготовка и заключение). — М.: Изд-во АН СССР, 1955). შეუერთდა თუ არა ყაბარდო და მასთან ერთად ჩრდილოეთ ოსეთი ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთს, ამის გარკვევა რუსი, ოსი და ყაბარდოელი ისტორიკოსების საქმეა, ჩვენ კი ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) საკითხს დავუბრუნდეთ. 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო **გეორგიევსკის ტრაქტატი.** გეორგიევსკის ტრაქტატს რუსეთის მხარის მოთხოვნით, ერეკლე II-მ დაურთო ქართლისა და კახეთის თავადებისა და აზნაურების სია. ამ სიაში, როგორც ერეკლე II-ის ქვეშევრდომები, მოხსენიებული არიან საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე - შიდა ქართლში - არსებული სათავადოები და მათი მფლობელი ქართველი თავადები - **ერისთავი, მაჩაბელი, ხერხეულიძე, ფალავანდიშვილი** და მათი აზნაურები: **კორინთელი, ფავლენიშვილი, რჩეულიშვილი**

და სხვ. თუკი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე - შიდა ქართლში (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე) არსებული სათავადოების მფლობელი თავადები ერეკლე II-ის ქვეშევრდომები იყვნენ, მაშინ ეს ტერიტორია როგორღა იყო რუსეთის იმპერიის ნაწილი?

IV. რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს: 1810 წელს აფხაზეთი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა: «Абхазия вошла в состав Российской империи в 1810 году, тоже как независимое государство, как княжество». გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის დამდეგს აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო თუ სამთავრო არ ყოფილა. XIX საუკუნის დამდეგს აფხაზეთის სამთავროში ძალზე დაძაბული ვითარება შეიქმნა. დავიწყოთ იმით, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სიმაგრეებში: **ფოთში, სოხუმში** და სხვა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში ოსმალეთის გარნიზონები იდგა. აფხაზეთის მთავრები ისლამის აღმსარებლები იყვნენ და აშკარად პროოსმალურ პოლიტიკას ატარებდნენ. პროოსმალურ ორიენტაციას აღიარებდა აფხაზეთის არისტოკრატიის (თავადაზნაურობის) აბსოლუტური უმრავლესობა. ასე რომ, რუსული ისტორიოგრაფიის მტკიცება, რომ თითქოს აფხაზეთის მთავრები და არისტოკრატია ხსნას რუსეთში ეძიებდა, მტკნარი სიცრუეა. სამთავროში დაუსრულებელი შინა აშლილობა სუფევდა, რაც კარგად გამოიყენა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ.

რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესული სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის გარდაცვალებამ (1804 წ.) სამეგრელოს სამთავროში მღელვარების დაწყებას მისცა დასაბამი. ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყეს გარდაცვლილის ძმებმა, განსაკუთრებით საეჭვოდ იქცეოდა **მანუჩარ დადიანი.** პაველ ციციანოვს მთავრის ტახტზე მანუჩარის დამტკიცება არ სურდა. გრიგოლ დადიანის პირდაპირი და კანონიერი მემკვიდრე, **ლევანი,** მამის გარდაცვალების დროისათვის არასრულწლოვანი იყო. ათი წლის ლევანი მამის ვალის გამო მძევლად იყო აფხაზეთის მთავარ, ისლამის აღმსარებელ **ქელეშ მეჰმედ ბეი შერვაშიძესთან.** გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ქელეშ მეჰმედ ბეის ლევანის სამეგრელოში გაშვება სთხოვა, რაზეც აფხაზთა მთავარმა უარი განაცხადა. პაველ ციციანოვს აფხაზეთის მთავართან ურთიერთობის დაძაბვა არ სურდა, რადგან 1803 წელს ქელეშ მეჰმედ ბეიმ გრიგოლ დადიანის მეშვეობით რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლა ითხოვა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქელეშ მეჰმედ ბეი ორპირობდა, აფხაზეთის მთავარმა ჩათვალა, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომობაში შესვლა უფრო სასარგებლო იქნებოდა მისთვის და მალე გახდა

კიდეც ოსმალეთის ქვეშევრდომი. ქელეშ მეჰმედ ბეი ფიქრობდა, რომ ლევან დადიანის სანაცვლოდ დიდ გამოსასყიდს მიიღებდა.

1806 წელს წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ომმა კიდევ უფრო დაძაბა ვითარება აფხაზეთის სამთავროში, რაც განპირობებული იყო **პროოსმალური** და **პრორუსული** ძალების დაპირისპირებით. კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება აფხაზეთის მთავარ **ქელეშ მეჰმედ ბეის** მკვლელობის შემდეგ. 1808 წლის 2 მაისს ქელეშ მეჰმედ ბეი გვიან დაბრუნდა შინ. მას თან ახლდა ერთ-ერთი ვაჟი **ბათალი ბეი.** შევიდა თუ არა სასახლეში, ქელეშ მეჰმედ ბეის ესროლა მისმა მეორე შვილმა **არსლან ბეიმ,** ტყვია მთავარს აცდა, მაგრამ მძიმედ დაჭრა ბათალი ბეი. მაშინვე ქელეშ მეჰმედ ბეის ჩასაფრებიდან ოთხჯერ ესროლეს. არსლან ბეი დიდი ხანია, ცდილობდა მამის მოკვლას, მაგრამ რამდენიმე თავდასხმა წარუმატებლად დამთავრდა. წარუმატებელი თავდასხმების შემდეგ არსლან ბეი მამას მოჩვენებით შეურიგდა და ახალი თავდასხმა მოამზადა. ქელეშ მეჰმედ ბეისთან ერთად მოკლეს მისი ორი ვაჟიც. ქელეშ მეჰმედ ბეი გრძნობდა, რომ არსლან ბეის მხრიდან საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომ იყო, რომ მან ადრევე ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი ერთ-ერთი ვაჟი **სეფერ ალი ბეი.** მამისმკვლელი არსლან ბეი შეშინდა, რომ სეფერ ალი ბეი შურს იძიებდა და სოხუმის ციხეს შეაფარა თავი. ციხეში ოსმალთა საკმაოდ ძლიერი გარნიზონი იდგა. სეფერ ალი ბეის ისეთი სამხედრო ძალა არ გააჩნდა, რომ სოხუმის ციხე აეღო. აფხაზეთის მთავრის ტახტის მემკვიდრემ ორი თხოვნა დაწერა: ერთი, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრ I-ის სახელზე, მეორე – საქართველოს მთავარსარდალ გენერალ-ანშეფ ივან გუდოვიჩისა. სეფერ ალი ბეი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლას და ოსმალეთის აგრესიისაგან აფხაზეთის დაცვას ითხოვდა. იგი პირობას დებდა, რომ გაქრისტიანდებოდა, ისევე, როგორც მისი თავადები და, საერთოდ, აფხაზეთის მოსახლეობა. სეფერ ალი ბეის დაპირება გულწრფელი იყო, მას დიდი ხანია, უყვარდა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და, მაგრამ იმის გამო, რომ სეფერ ბეი მუსლიმი იყო, გრიგოლ დადიანი ამ ქორწინებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. სეფერ ალი ბეიმ ქრისტიანობის მიღება მტკიცედ გადაწყვიტა.

1808 წლის 13 ივნისის წერილით რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ნიკოლაი რუმიანცევმა** საქართველოს მთავარსარდალ **ივან გუდოვიჩს** აცნობა, რომ ალექსანდრ I-მა სეფერ ალი ბეისათვის დახმარების აღმოჩენის ბრძანება გასცა. იმავე შინაარსის წერილი 1808 წლის 14 ივლისს ნიკოლაი რუმიანცევმა სამეგრელოს სამთავროში განლაგებულ რუსეთის ჯარის მეთაურ გენერალ-მაიორ **იონ რიკჰოფსაც** გაუგზავნა. გუდოვიჩმა სეფერ ალი ბეი შერვაშიძეს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის თაობაზე სათხოვარი პუნქტების

ოფიციალურად წარდგენა მოსთხოვა. ერთგულების დამტკიცების მიზნით სეფერ ალი ბეიმ გუდოვიჩს აცნობა, რომ მძევლად მისცემდა თავის უფროს ვაჟს. ივან გუდოვიჩმა სამეგრელოს დედოფალ **ნინოს** და სამეგრელოში განლაგებული რუსეთის ჯარის მეთაურ გენერალ იონ რიკჰოფს ნება დართო სეფერ ალი ბეის სოხუმის ციხიდან არსლან ბეის განდევნაში დახმარებოდნენ. სამეგრელოს სამთავროს ჯარი აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდა და სოხუმს მიუახლოვდა. იმავდროულად სოხუმს სამი გემით მიუახლოვდა ფოთის ბეი **ქუჩუკ შერვაშიძე,** რომელსაც ოსმალეთის სულთნისაგან არსლან ბეისათვის დახმარების აღმოჩენა ჰქონდა ნაბრძანები. სამეგრელოს ჯარმა გაცილებით მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩაბმას თავი აარიდა, დაიწყო მოლაპარაკება. არსლან-ბეიმ, ცხადია, სოხუმის ციხის დატოვებაზე უარი განაცხადა. სამეგრელოს ჯარი გენერალ რიკჰოფის ჯარის მოსვლას დაელოდა და, როცა ეს უკანასკნელი არ გამოჩნდა, უკან დაიხია. გენერალმა იონ რიკჰოფმა იცოდა, რომ სოხუმის ციხე კარგად იყო გამაგრებული, გარნიზონს ძლიერი არტილერია გააჩნდა. 1808 წლის 10 აგვისტოს მოხსენებაში რიკჰოფი გუდოვიჩს სთავაზობდა, სოხუმის ციხეზე ხმელეთიდან იერიში არ დაეწყოთ და ქალაქი ზღვიდან საარტილერიო ცეცხლით გადაეწვათ.

1808 წლის 12 აგვისტოს სეფერ ალი ბეი შერვაშიძემ, რომელმაც ქრისტიანულად მონათვლის შემდეგ მიიღო სახელი **გიორგი,** აფხაზეთის თავადებთან ერთად ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორისადმი **„უქვეშევრდომილეს სათხოველს“.** საინტერესოა ამ დოკუმენტის შექმნის ისტორია. „უქვეშევრდომილესი სათხოველი“ დაწერილია „სათხოვარი პუნქტების“ სახით. მისი თავდაპირველი ტექსტი რუსულ ენაზე შეუდგენიათ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. შემდეგ დოკუმენტი უთარგმნიათ ქართულად და ქართულმა ტექსტმა მიიღო ორიგინალის (დედნის) მნიშვნელობა. ქართულ ტექსტზეა გიორგი შერვაშიძისა და თავადების ხელმოწერა, დასმული აქვს მთავრის ბეჭედი. ხელმოწერის შემდეგ **„უქვეშევრდომილესი სათხოველის“ ქართული დედანი ხელმოწერებითა და ბეჭდით რუსულ თარგმანთან ერთად გაიგზავნა პეტერბურგში.**

არსლან ბეის მომხრეები აშკარად სჭარბობდნენ გიორგი შერვაშიძისას, რაც რუსეთს არცთუ სახარბიელო პერსპექტივას უქადდა. ამას ემატებოდა ის, რომ გიორგი შერვაშიძე უსუსური მმართველი გამოდგა. გიორგი შერვაშიძე იძულებული გახდა ჯერ სამეგრელოსათვის შეეფარებინა თავი, ხოლო შემდეგ ქუთაისში გადასულიყო. მოვლენების განვითარება აფხაზეთში დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა 1806 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომი, კერძოდ,

ბრძოლები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. 1808 წელს **რედუტ-კალეში** (ყულევში) ჩავიდა გენერალ-მაიორი **დიმიტრი ორბელიანი** და ფოთიდან მოსალაპარაკებლად მიიწვია ფოთის ბეი **ქუჩუკ შერვაშიძე.** დიმიტრი ორბელიანს ქუჩუკ ბეის გადმობირების იმედი ჰქონდა. თუ ქუჩუკ ბეი რუსეთის ქვეშევრდომობაზე უარს იტყოდა, დიმიტრი ორბელიანს ფოთი მოულოდნელი იერიშით უნდა აეღო. ფოთს რუსეთისათვის დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ფოთის ნავსადგურითა და რიონით შეიძლებოდა იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში განლაგებული ჯარების შეუფერხებლად მომარაგება. 1809 წლის 30 მაისით დათარიღებულ მოხსენებაში გენერალი ორბელიანი კავკასიის ხაზის მთავარსარდალსა და საქართველოს მთავარსარდალ ინფანტერიის გენერალ **ალექსანდრ ტორმასოვს** მოახსენებდა, რომ ქუჩუკ ბეის გადმობირების მიზნით მან თავი მოუყარა ყველას, ვისაც კი ნათესაური ან სხვა რაიმე კავშირი ჰქონდა ფოთის ბეისთან: პოდპოლკოვნიკ თავად ერისთავს, ბატონიშვილ ვახტანგ გურიელს, თავად მანუჩარ შერვაშიძეს. შუამავლები დიმიტრი ორბელიანმა ფოთში გაგზავნა. რუსეთის ხელისუფლება საჩუქრებისათვის ფულს არ იშურებდა. 1809 წლის 17 ივნისს ალექსანდრ ტორმასოვი დიმიტრი ორბელიანს ავალებდა, რომ ქუჩუკ ბეისათვის საჩუქრად გაეგზავნათ: 1.000 მანეთად ღირებული მდიდრულად მორთული ხმალი; კიდევ ორი ხმალი, თითოეული 100 მანეთის ღირებულების; 750 მანეთად ღირებული ძვირფასი თვლებით მორთული ხანჯალი; კიდევ ორი ხანჯალი, თითოეული 80 მანეთის ღირებულებისა; 3 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი.

ქუჩუკ ბეიმ რუსებისაგან საჩუქრები მიიღო, მაგრამ არსლან ბეისთან ურთიერთობას არ წყვეტდა. არსლან ბეი დარწმუნდა იმაში, რომ მამისმკვლელი ხალხის რისხვას ვერ გადაურჩებოდა, ხოლო ქუჩუკ ბეის დახმარება მის მდგომარეობას ვერ იხსნიდა. არსლან ბეი იძულებული გახდა, რუსეთისათვის ქვეშევდრომობა ეთხოვა. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ პირადად არსლან ბეი სოხუმის ციხითურთ ითხოვდა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას. რუსეთის ხელისუფლებამ თხოვნა არ შეიწყნარა, არსლან ბეის ქვეშევრდომობაში მიღება რუსეთს სახელს გაუტეხდა აფხაზეთის გავლენიან ხელისუფალთა შორის. გარდა ამისა, სეფერ ალი ბეის (გიორგი შერვაშიძეს) უკვე წარდგენილი ჰქონდა ქვეშევრდომობაში მიღების თაობაზე სათხოვარი პუნქტები. რუსეთის იმპერატორი სეფერ ალი ბეი შერვაშიძის აფხაზეთის მთავრად დამტკიცებას აპირებდა, ხოლო სამთავროს ცენტრს სოხუმი წარმოადგენდა, რომელსაც არსლან ბეი დროებით ფლობდა. ამავე დროს, ალექსანდრ ტორმასოვი ფიქრობდა, რომ არსლან ბეის თხოვნის გამოყენება სოხუმის ციხის დასაკავებლად ხელსაყრელი იყო.

საქართველოს მთავარსარდლის გეგმა წინააღმდეგობაში მოდიოდა იმპერატორის ნებასთან, რომელიც სეფერ ალი ბეის აფხაზეთის მომავალ მთავრად მოიაზრებდა. ამიტომ იყო, რომ 1809 წლის 17 ივნისს ტორმასოვი გენერალ ორბელიანს უბრძანებდა, რომ არსლან ბეის წინააღმდეგ ყველა მისი მტერი გაეერთიანებინა და სეფერ ალი ბეის დახმარებით იგი სოხუმის ციხიდან გაეძევებინა. ოსმალებმა შეიტყვეს არსლან ბეის მიერ გაგზავნილი თხოვნის შესახებ და ყოველნაირად ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მოვლენათა მათთვის არასასურველი განვითარება. თუ არსლან ბეი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე უარს იტყოდა, ოსმალები ფულად ჯილდოს, მდიდრულ საჩუქრებს და ჯარით დახმარებასაც კი ჰპირდებოდნენ. არსლან ბეის მდგომარეობა უიმედო გახადა იმან, რომ 1809 წლის 15 ნოემბერს დიმიტრი ორბელიანმა ფოთის ციხე აიღო.

ქუთაისში ალექსანდრ ტორმასოვისაგან გიორგი შერვაშიძემ შეიტყო, რომ რუსეთის იმპერატორმა 1810 წლის 17 თებერვალს მისი სათხოვარი პუნქტები დაამტკიცა და აფხაზეთის მთავარს ქვეშევრდომობაში შესვლის დამადასტურებელი სიგელი და ინვესტიტურა გამოუგზავნა. საქართველოს მთავარსარდალმა გიორგი შერვაშიძეს ისიც აცნობა, რომ იმპერატორმა იგი წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა და 2. 500 მანეთის ოდენობის წლიური პენსია დაუნიშნა. 1810 წლის 7 ივლისს იმერეთის დროებითი მმართველი **ფიოდორ სიმონოვიჩი** საქართველოს მთავარსარდალს მოახსენებდა, რომ მან გიორგი შერვაშიძეს ურჩია, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო აფხაზეთში და რუსეთის იმპერატორის სიგელი, ინვესტიტურა და წმ. ანას ორდენი სწორედ იქ მიეღო. როგორც მოხსებიდან ჩანს, გიორგი შერვაშიძე ამის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ მას აფიქრებდა ის, რომ სოხუმის ციხესა და პრაქტიკულად, მთელ აფხაზეთს არსლან ბეი ფლობდა. არსლან ბეი ოსმალეთის სულთნის მიერ აფხაზეთის მთავრად იყო დამტკიცებული. გიორგი შერვაშიძე ვარაუდობდა, რომ აფხაზეთში მის დაბრუნებას სამთავროში ოსმალეთის ჯარის შემოჭრა მოჰყვებოდა და იგი იძულებული გახდებოდა, კვლავ დაეტოვებინა სამთავრო. ამიტომ იყო, რომ გიორგი შერვაშიძე რუსეთის იმპერატორის სიგელის, ინვესტიტურისა და წმ. ანას ორდენის გადაცემის ცერემონიის გადადებას ითხოვდა მანამ, სანამ რუსეთის ჯარი სოხუმის ციხეს არ დაიკავებდა.

1810 წლის 9 ივლისს რუსეთის სამხედრო ესკადრა კაპიტან-ლეიტენანტ **პ. ა. დოდტის** მეთაურობით ნაშუადღევის 3 საათზე სოხუმს მიუახლოვდა და ესკადრის ყველა გემიდან სოხუმის ციხეს ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა. რამდენიმე საათში ციხის ამბრაზურების უმრავლესობა დანგრეული იქნა, ხოლო ზარბაზნების დიდი ნაწილი – მწყობრიდან გამოყვანილი. სოხუმის ციხეში

გამაგრებული ოსმალთა გარნიზონი რუსების საარტილერიო ცეცხლს უკვე იშვიათად პასუხობდა. რუსეთის სამხედრო ესკადრის გემები მთელი ღამე ბომბავდნენ სოხუმის ციხეს. 10 ივლისის დილით სოხუმთან ასეთი მდგომარეობა იყო: ციხის გარნიზონი პრაქტიკულად აღარ იბრძოდა, რუსებმა ჩაძირეს რეიდზე მდგარი ოსმალეთის ყველა გემი, ციხის დიდი ნაწილი დანგრეული იყო, ხოლო ქალაქში ხანძარი მძვინვარებდა. კაპიტან-ლეიტენანტმა პ. ა. დოდტმა სოხუმში დესანტი გადასხა. 10 ივლისს, 11 საათზე, რუსეთის ჯარმა სოხუმი დაიკავა. რუსებს დარჩათ 60 ზარბაზანი. სოხუმში შევიდა მე-4 საზღვაო პოლკის 2 ასეული, რომელსაც შემდეგ ბელევსკის პოლკის 1 ასეული დაემატა. არსლან ბეიმ მთებს შეაფარა თავი.

რუსეთის ჯარის მიერ სოხუმის დაკავების შემდეგ რუსეთის სარდლობასთან გამოცხადდნენ გიორგი შერვაშიძის ძმები **ბათალი ბეი** და **ჰასან ბეი** თავიანთ ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ერთად. სოხუმში შევიდა გიორგი შერვაშიძეც 100 რუს ქვეითთან ერთად. 1810 წლის ოქტომბერში გიორგი შერვაშიძეს გადაეცა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სიგელი და ინვესტიტურა და იგი ოფიციალურად გამოცხადდა აფხაზეთის მთავრად.

აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლა ისეთ ვითარებაში მოხდა, რომ შერვაშიძეთა საგვარეულოსა და თავადების დიდი ნაწილი პროოსმალურ ორიენტაციას აღიარებდა. ძალთა განლაგება სამთავროში აშკარად რუსეთის საზიანო იყო, რაც ოსმალეთმა მხოლოდ იმიტომ ვერ გამოიყენა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის (1806-1812 წწ.) დროს კავკასიის ფრონტზე ბრძოლები რუსეთის გამარჯვებებით აღინიშნა. ოსმალეთთან ომში გამარჯვებამ რუსეთის იმპერიას საშუალება მისცა აფხაზეთის ოკუპირება მოეხდინა.

V. რუსეთის პრეზიდენტმა 1918-1920 წლებში აფხაზეთში შექმნილი ვითარება ასე წარმოადგინა: რუსეთის იმპერიის დანგრევისა და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველომ აფხაზეთის გადაყლაპვა მოინდომა. დამოუკიდებელმა სახელმწიფომ გერმანიის ჯარების დახმარებით 1918 წელს აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა. ოკუპანტები ძალზე სასტიკად მოქმედებდნენ: «Абхазия развивалась таким образом: когда разваливалась Российская империя после Первой мировой войны, то Грузия предприняла попытки поглощения Абхазии, образовалось независимое грузинское государство, и при помощи германских войск в 1918 году Грузия Абхазию оккупировала. Вели себя оккупанты очень жёстко».

როგორც ვხედავთ, ვლადიმირ პუტინი აღარ ხუმრობს და ჩვენც იძულებული ვართ მას საფუძვლიანი პასუხი გავცეთ. სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, მოვიტანთ რამდენიმე დოკუმენტს, რომელიც ცხადყოფს რუსეთის

კოლონიური პოლიტიკის არსს აფხაზეთში.

საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილება, აფხაზების ასიმილაცია რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო. ადმინისტრაციის მაღალი რანგის მოხელე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი **ფიოდორ გერშელმანი** 1900 წლის 2 სექტემბერს თბილისში გაგზავნილ კონფიდენციალურ მოხსენებაში წერდა: „ბოლო დროს გაცნობიერებული იქნა რუსი ხალხის მიერ ოკრუგის (აფხაზეთის - **ავტ**.) კოლონიზაციის სარგებლიანობა და შესაძლებლობა. კოლონიზაციისათვის იყენებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრირების შედეგად (იგულისხმება მუჰაჯირობა - **ავტ.**) გამოთავისუფლებულ მიწებს. საქმე ამ თვალსაზრისით, იმის გამო, რომ რუსი გლეხობის მნიშვნელოვანმა რაოდენობამ სოხუმის ოკრუგში დასახლების სურვილი გამოთქვა, შედარებით კარგად მიდის“ („В последнее время была осознана польза и возможностиь колонизации округа русскими людьми, пользуясь для того землями, оставшимися свободными после бывшей эмиграции туземного населения (იგულისხმება მუჰაჯირობა - **ავტ.**) и дело ведется в этом направлении сравнительно успешно, благодаря значительному числу русских крестьян, заявляющих желание поселиться в Сухумском округе"). ცოტა ქვემოთ სამხედრო გუბერნატორი კიდევ უფრო ცხადად აყალიბებს კოლონიური პოლიტიკის ამოცანებს: „ოკრუგის (აფხაზეთის - **ავტ**.) რუსულ კოლონიზაციას პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. აფხაზები, რომლებიც ოკრუგის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენენ დღემდე წარმოადგენს უკიდურესად დაბალი კულტურის, გონებრივად და ზნეობრივად განუვითარებელ ხალხს არამყარი რელიგიური რწმენით, რომელთაც არაერთხელ გამოავლინეს პოლიტიკური არასაიმედოობა. ყოველივე ამის გამო აუცილებელია მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება. საქმეს შეიძლება ეშველოს ამ მხარეში რუსული მოქალაქეობის შეტანით, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდება ოკრუგში, თუმცა ამოცანა გადაჭრისაგან ჯერ კიდევ შორსაა. მისი გადაჭრისათვის საუკეთესო საშუალებას რუსული მოსახლეობით მხარის კოლონიზაცია წარმოადგენს“ (დედანში: „Русская колонизация округа имеет для него ьольшое государственное значение в политическом отношении. Абхазы, состовляющие главную массу населения округа до сих пор представляют из себя народность краине мало культурную, мало развитню, как в умственном, так и в нравственном отношении, шаткую в своих религиозных убеждениях и не раз уже проявившую свою политическую неблагонадежность. Все ето вызывает необходимость особого внимания к ним. Помочь делу можно внесением в край русской гражданственности, которая в действительности понемногу упрочевается в округе, но задача ето далеко еше не закончена. Лучшим средством к осушествлению ея надо бесспорно признать колонизацию края русским населением").

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს კარგად ესმოდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზნები აფხაზეთში, ამასთან - მშვენივრად ხედავდა საშიშ ტენდენციას,

რომელიც დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ინტერესებს: „რუსულ კოლონიზაციასა და რუსული მოქალაქეობის განმტკიცებას უნდა შევუქმნათ ნორმალური პირობები, აღმოფხვრილი უნდა იყოს ყველა ხელისშემშლელი ფაქტორი. სხვათა შორის, უკანასკნელ ხანებში სოხუმის ოკრუგში შეიმჩნევა ქართველების, უპირატესად მეგრელების, მხრიდან რუსული მოქალაქეობის განვითარებისა და რუსული მიმდინარეობისადმი (ორიენტაციისადმი) ძლიერი წინააღმდეგობა“ („Делу русской колонизации и упрочению русской гражданственности надо предоставить условия нормального развития, тщательно устраняя все, что может ему мешать. Между тем, в последнее время замечается сильное, протеводействие развитию русской гражданственности и русскому направлению в Сухумском округе со стороны грузин, преимушественно мингрельцев").

ცხადი იყო, რომ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება და ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ქართული ენის განდევნის შემდეგ.

ეს არ არის გადაჭარბებული მტკიცება - ქართული ენა და მისი ფუნქციონირება გადამწყვეტი ძალის იარაღი იყო და გუბერნატორი აბსოლუტურად მართალია: „ჩამოთვლილი ღონისძიებანი თავისი მიზანდასახულობით შეიძლება მხოლოდ სანახევრო ღონისძიებებად ჩაითვალოს. მათი მეშვეობით ბოროტებას ვერ შეებრძოლები მანამ, სანამ მოწინააღმდეგე პარტიის (ქართველების - **ავტ.**) ხელში ისეთი ძლიერი საშუალებებია, როგორიცაა ქართველი სამღვდელოების მმართველობის ქვეშ მყოფი ეკლესია და სკოლა“ („Перечисленные меры при всей своей целесообразности составляют все-таки полумеры. Ими трудно бороться со злом, пока в руках противной партии находятся такие сильные средства, как церковь и школа, руководимые грузинским духовенством”).

აფხაზეთის ეკლესიიდან და სკოლებიდან ქართული ენის განდევნის აუცილებლობაზე მსჯელობის შემდეგ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დაასკვნის: „ასეთი ღონისძიებებით სოხუმის ოკრუგის ძირძველი მოსახლეობა (იგულისხმება აფსუები - **ავტ.**)საიმედოდ იქნებოდა დაცული ქართული გავლენისაგან (...). აფხაზებმა (აფსუებმა - **ავტ.**), რომელთაც არა აქვთ თავიანთი დამწერლობა, არ იციან არც რუსული და სლავური და არც ქართული ენები, ასე რომ, ამ თვალსაზრით მათთვის სულ ერთია, რუსი მღვდელი ეყოლებათ თუ ქართველი“(„такою мерою коренное носеление Сухумского округа было бы самым надежным образом убережено от грузинского влияния (...). Абхазцы, не имея своей писменности, одинаково не знают как русского и славянского языков, так и грузинского, так что в этом отношении для них безразлично, будет их пастыр русский, или грузин").

სწორედ ამიტომ მიაჩნდა ფიოდორ გერშელმანს რომ, თუ აფხაზეთის კოლონიზაციის შესახებ მის გეგმას მიიღებდნენ, „სასურველი იქნებოდა,

შემლებისდაგვარად სწრაფად განხორციელებულიყო გარდაქმნა, შეწყვეტილიყო სოხუმის ოკრუგში ქართველი მღვდლებისა და მასწავლებლების დანიშვნა (...)“ („Желателбно было бы произвести преобразование возможно скорее, а для того прекратив дальнейшее назначение в Сухмский округ священников и учителей из грузин (...)”.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ, კოლონიზაციის გეგმის მიხედვით, მთელი დარტყმა მხოლოდ ქართულ მოსახლეობაზე (მეგრელებზე) მოდიოდა, - გეგმა მოსახლეობის მეორე ნაწილსაც - აფსუებსაც - ეხებოდა და ხორციელდებოდა კიდეც.

სანამ აფხაზეთში 1918-1920 წლებში განვითარებულ მოვლენებს შევეხებოდეთ, აუცილებელია მოკლედ მაინც წარმოვადგინოთ, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია აღესრულა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში არც რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ შეცვლილა. ძველ პოლიტიკას ატარებდა რუსეთის დროებითი მთავრობა (1917 წლის მარტი-ოქტომბერი) და საბჭოთა რუსეთის მთავრობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მოვიდა.

1917 წლის მარტში აფხაზეთშიც დაიწყო ახალი ხელისუფლების ორგანოების შექმნა: 10 მარტს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) ადგილობრივი ორგანო „**საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი კომიტეტი“**, რომლის თავმჯდომარედ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი **ალექსანდრე შერვაშიძე** აირჩიეს. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: **დ. ზახაროვი, ნ. თავდგირიძე, ვ. ლაკერბაია** და სხვ. სოხუმის ქალაქის თავი გახდა **ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი.** 1917 წლის 2 ივლისს გაიმართა საოლქო სასამართლოს არჩევნები, რომელშიც სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს.

რუსი პოლიტიკური მოღვაწეები ქართული ეროვნული ძალების წინააღმდეგ აფსუებთან ბლოკის შეკვრას ცდილობდნენ. აფხაზეთში გააქტიურდნენ ჩრდილო-კავკასიური ორიენტაციის ძალები. 1917 წლის 6 მარტს შეიქმნა ჩრდილო კავკასიის მთიელთა დროებითი ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც 1 მაისს ქალაქ ვლადიკავკაზში **ჩრდილო კავკასიის მთიელთა I ყრილობა** მოიწვია. ყრილობას აფხაზეთიდან **ალექსანდრე შერვაშიძე** დაესწრო. 1917 წლის 10-17 აგვისტოს მიმდინარეობდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა II ყრილობა, რომელმაც ჩრდილო კავკასიის მთიელების ავტონომიის ფორმით რუსეთის სახელმწიფოში შესვლას დაუჭირა მხარი. 1917 წლის 20 ოქტომბერს მთიელთა ცენტრალურმა კომიტეტმა (მთავრობამ) ცოტა ხნით ადრე შექმნილ **ჩრდილოკავკასიელ კაზაკთა რადასთან** ერთად ჩამოაყალიბა **„კაზაკთა კავშირის, კავკასიელი მთიელებისა და სტეპების თავისუფალი ხალხების სამხრეთ-დასავლეთ კავშირი“**, რომლის შემადგენლობაში

შევიდა **„სოხუმის ოლქის მთიელი ხალხი“** (ე.ი. აფსუები) და არა **სოხუმის ოლქი,** როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს თანამედროვე რუსული და აფხაზური ისტორიოგრაფია. 1917 წლის 16 ნოემბერს ქალაქ ეკატერინოდარში მუშაობას შეუდგა **სამხრეთ-დასავლეთ კავშირის** გაერთიანებული მთავრობა. სამხრეთ-დასავლეთ კავშირის წარმომადგენელი ჩეჩენი **ასლანბეი შერიპოვი** 1917 წლის შემოდგომაზე სოხუმში ჩამოვიდა და ცდილობდა აფხაზეთის სამხრეთ-დასავლეთ კავშირთან შეერთებას. ასლანბეი შერიპოვი ეროვნულ ძალთა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ამის შემდეგ მან ტაქტიკა შეცვალა და გამოაცხადა, რომ სამხრეთ-დასავლეთ კავშირი არის პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული გაერთიანება, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. 1917 წლის 7-8 ნოემბერს გაიმართა **აფხაზი ხალხის ყრილობა.** ყრილობას, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისიდან **აკაკი ჩხენკელის** მეთაურობით ჩასული დელეგაცია დაესწრო. ყრილობამ სამხრეთ-დასავლეთის კავშირში აფხაზეთის გაწევრიანების გადაწყვეტილება მიიღო. ყრილობამ დაამტკიცა დეკლარაცია და კონსტიტუცია, აირჩია აფხაზთა სახალხო საბჭო (თავმჯდომარე სვიმონ ბასარია). სამხრეთ-დასავლეთ კავშირთან პოლიტიკური კავშირის დამყარების მიუხედავად, აფხაზეთი ადმინისტრაციული თვალსაზრისით ამიერკავკასიის შემადგენლობაში რჩებოდა და მასზე ოზაკომის იურისდიქცია ვრცელდებოდა. აფხაზთა სახალხო საბჭომ არაერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზეთი რჩებოდა ამიერკავკასიის შემადგენლობაში. იგივე დაამოწმა აფხაზთა საოლქო ყრილობამაც, რომელიც 1918 წლის 4-10 მარტს მიმდინარეობდა.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაციების შეხვედრა. აფხაზთა სახალხო საბჭოს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: **ალ. შერვაშიძე, მ. ემხვარი, ნ. მარღანია, რ. ჩხოტუა, ბ. ცაგურია**; საქართველოს ეროვნული საბჭოს მხრიდან - **აკ. ჩხენკელი, კ. მესხი, გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე**. აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაცია აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ითხოვდა. საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები ამ მოთხოვნას უარყოფითად შეხვდნენ და საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური ერთეულის სახით შესვლის იდეა წამოაყენეს. აფხაზეთის სახალხო დელეგაცია დათმობაზე წავიდა. შეთანხმება ორ უმნიშვნელოვანეს საკითხს ითვალისწინებდა: 1. ერთიანი და განუყოფელი აფხაზეთის არსებობას მდინარე მზიმთიდან მდინარე ენგურამდე; 2. აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხის დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული საქართველოს დამფუძნებელი კრებნის მიერ გადაჭრას.

1918 წლის 16-20 თებერვალს რუსმა ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების დახმარებით სოხუმის ხელში ჩაგდება მოახერხეს და **ეფრემ ეშბას** მეთაურობით **აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი** შექმნეს. ეს ავანტურა მარცხით დამთავრდა, - რუსი ბოლშევიკები სოხუმიდან გაიქცნენ.

1918 წლის მარტ-აპრილში ოსმალეთმა აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ოკუპაცია შეძლო. იმავდროულად რუსმა ბოლშევიკებმა ისევ საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილების დახმარებით სოხუმი დაიკავეს. აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარე და წევრების დიდი ნაწილი ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. 1918 წლის 17 მაისს სოხუმი საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ დაიკავა. მალე ბოლშევიკები აფხაზეთის სხვა რაიონებიდანაც განდევნეს. მიუხედავად ამისა, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში მაინც დაძაბული რჩებოდა.

1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რასაც საბჭოთა რუსეთი მტრულად შეხვდა. მოსკოვი აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას უპირისპირებდა **აფსუებს, რუსებს, სომხებს, ბერძნებს** და კიდევ ადამიანების დიდ ჯგუფს, რომლებიც **„ოსმალეთის ქვეშევრდომებად“** იწოდებოდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველგვარ ღონეს ხმარობდა თავიდან აეცილებინა ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტი აფხაზეთში. 1918 წლის ივნისში აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც ნათქვამი იყო: **„შინაგანი მმართველობა და თვითმმართველობა აფხაზეთში მიეკუთვნება აფხაზთა სახალხო საბჭოს“**. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 26 მაისის შემდეგ სულ მალე დაადასტურა აფხაზეთის ავტონომია. აფხაზთა სახალხო საბჭო აფხაზეთს მიიჩნევდა არა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, არამედ საქართველოში შემავალ ავტონომიურ ერთეულად. კონსტანტინეპოლის საერთაშორისო კონფერენციაზე აფხაზეთის წარმომადგენლობის საკითხის განხილვისას აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ **ვარლამ შერვაშიძემ** განაცხადა: **„აფხაზეთი როგორც სახელწიფო არ არსებობს, ამიტომ არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დიპლომატიური მისია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი წარმომადგენლები გამოვაგზავნოთ ქართული დიპლომატიური მისიის გასაძლიერებლად მრჩევლის რანგში“** („Абхазии как государства нет, а потому самостоятельной дипломатической миссии не может быть, но мы можем послать представителя нашего для усиления грузинской дипломатической миссии в качестве советника“).

1919 წლის 20 მარტს **აფხაზეთის სახალხო საბჭომ** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა როგორც ავტონომიური ერთეული. აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის მოხსენებაში, რომელიც

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს **ნოე ჟორდანიას** გაეგზავნა, ვკითხულობთ: „...ამ აქტით ამიერიდან მყარი საფუძველი დაედო აფხაზეთის ხალხის თავისუფალ ცხოვრებას თავისუფალი საქართველოს ფარგლებში“ („Этим актом отныне положено прочное основание свободной Грузии.“).

საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის კონსტიტუციის დონეზე გაფორმება დაგვიანდა, დაგვიანდა იმიტომ, რომ 1921 წლის 21 თებერვლამდე თვით საქართველოს კონსტიტუციის მიღებაც ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთი საქართველოს კონსტიტუციის მიღებამდეც ავტონომიის უფლებით სარგებლობდა. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის 107-ე მუხლი გვაუწყებს: **„საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“**. 108-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი განისაზღვრებოდა ცალკე კანონით.

1918 წლის ივნისში აფხაზეთში ვითარება უკიდურესად გართულდა. განსაკუთრებით გააქტიურდნენ პრორუსული (საბჭოთა) და პროოსმალური ძალები. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთის დახმარებით გადაწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აფხაზეთში. იმის გამო, რომ სოხუმსა და საერთოდ აფხაზეთში ბოლშევიკებს სერიოზული ძალები არ გააჩნდათ, დახმარებისათვის სოხუმელმა ბოლშევიკებმა მიმართეს ეკატერინოდარის (კრასნოდარის) ბოლშევიკებს. ისინი ითხოვდნენ სოხუმის ოლქის შეერთებას **ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკასთან** და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით წითელი არმიის ნაწილების გაგზავნას. თავიანთ გეგმებზე ხელს არ იღებდნენ პროოსმალური ორიენტაციის ძალებიც **ალექსანდრე შერვაშიძის** მეთაურობით. 1918 წლის ივნისში აფხაზეთში ოსმალეთმა დესანტი (800 მებრძოლი) გადასხა. გარდა ამისა, აფხაზეთის ტერიტორიის დაკავებას ცდილობდა მოხალისეთა არმია გენერალ **ანტონ დენიკინის** სარდლობით. შექმნილ ვითარებაში ქართული ორიენტაციის ძალები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამიტომ იყო, რომ **აფხაზთა სახალხო საბჭომ თხოვნით მიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აფხაზეთში საქართველოს ჯარის გაგზავნის თაობაზე.** ქართული ჯარი აფხაზეთში შევიდა და მოსალოდნელი საფრთხე დროებით ლიკვიდირებული იქნა. აფხაზეთში საქართველოს ჯარის ყოფნის გამო დიდი აურზაური ატეხეს ბოლშევიკებმა. 1918 წლის 18 ივლისს აფხაზთა სახალხო საბჭოში საქართველოს წარმომადგენელმა **ისიდორე რამიშვილმა** განაცხადა: თუ აფხაზთა სახალხო საბჭო მოითხოვს, საქართველოს ჯარი დაუყოვნებლივ დატოვებს აფხაზეთს, რადგანაც გაჭირვება სხვა ფრონტებზეც

გვაქვსო. ამის შემდეგ აფხაზთა სახალხო საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი წინანდელი გადაწყვეტილება აფხაზეთში საქართველოს ჯარის ყოფნის აუცილებლობის შესახებ. ქართული ჯარის დატოვება მოითხოვა საბჭოს წევრმა **რ. კაკუბავამ** და **დ. მარშანიამ.** რამდენიმე დღის შემდეგ 1918 წლის 30 ივლისს საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას **ხაჯიბ აჯბამ** ისევ დაადასტურა, რომ აფხაზეთში საქართველოს ჯარის ყოფნა აუცილებელი იყო.

გერმანიის იმპერიის ჯარი (ბავარიის დივიზია), რომელიც საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შემოვიდა, შიდა კონფლიქტებში მონაწილეობას არ იღებდა. გერმანიის ჯარი არც აფხაზი და არც ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ გამოუყენებია. აფხაზეთსა და შიდა ქართლში (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) შეყვანილ იქნა საქართველოს სახალხო გვარდია (მთავარი შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი) და ქართული ჯარი . 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ პირველ მსოფლიო ომში კაპიტუალცია გამოაცხადა და მაშინვე დაიწყო საქართველოდან ბავარიის დივიზიის გაყვანისათვის მზადება. საბოლოოდ გერმანიის ჯარმა საქართველო 1918 წლის დეკემბერში დატოვა.

ყოველივე ზემოთ თქმულს თუ გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ საქართველოს ჯარს აფხაზეთის ოკუპაცია არ მოუხდენია, ჯარი აფხაზეთში აფხაზთა სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებით გაიგზავნა და ჯარის აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენაც საბჭოს გადაწყვეტილება იყო. მით უმეტეს, მტკნარი სიცრუეა ის, რომ აფხაზეთის „ოკუპაციაში“ თითქოს გერმანიის ჯარი მონაწილეობდა.

VI. რუსეთის პრეზიდენტი 1918-1920 წლებში აფხაზეთში შექმნილი ვითარების შემდეგ ეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთს და აცხადებს, რომ 1919-1920 წლებში ქართველი ოკუპანტები აფხაზეთზე მეტ სისასტიკეს ოსეთში იჩენდნენ, იმდენად, რომ ადგილი ჰქონდა ოსების გენოციდს: „Ещё жёстче действовали грузинские войска в Осетии в 1919 и в 1920 году. По сути говоря, это именно то, что сегодня называется геноцидом». ამ შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტმა ყველგვარი შესწორების გარეშე გადმოიღო ოსი სეპარატისტების და მათი იდეოლოგების მიერ შეთხზული სიცრუე. 1917 წლის გაზაფხულიდან ოსი სეპარატისტები ცდილობდნენ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ დაემკვიდრებინათ ცნება - **„სამხრეთ ოსეთი**“. საქმე ეხებოდა ყოფილი თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილს. ოსი სეპარატისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1918 წლის 26 მაისი). მათ აშკარად აიღეს გეზი შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე და რეგიონის ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებაზე, ე.ი. საბჭოთა რუსეთის

შემადგენლობაში შესვლაზე. ამ მიზნით ოსთა სამი მასშტაბური აჯანყება მოეწყო 1918-1920 წლებში.

1918 წლის 25 იანვრიდან პორუჩიკ **ი. ხარებოვის** შეიარაღებულმა რაზმმა (300 კაცი) მარტის დასაწყისამდე შიდა ქართლის ოცზე მეტი სოფლის თავადაზნაურობა გაძარცვა, მათი სახლ-კარი გადაწვა, ხოლო უმეტესობა ადგილზევე სიკვდილით დასაჯა. ამ დროს ქართული შეიარაღებული ძალები ოსმალეთის ფრონტზე იყო გადასროლილი. ი. ხარებოვის წინააღმდეგ საქართველოს სახალხო გვარდიის ნაწილები გაიგზავნა. 1918 წლის 13-14 მარტს, ოსმა ბოლშევიკებმა ჩრდილო კავკასიიდან მიღებულ შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით, **ცხინვალისა** და **ჯავის** რაიონებში ახალი აჯანყება წამოიწყეს, ცხინვალი აიღეს, გაძარცვეს და წამებით დახოცეს **გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი, პეტრე ეფრემიძე, კოსტა კაზიევი** და სხვები, ხოლო 140 გვარდიელი ტყვედ აიყვანეს. 19 მარტს ოსების ეროვნული საბჭოს სახელით ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილებით, ცხინვალის რაიონში ალექსანდრე კონიაშვილისა და ვალიკო ჯუღელის სარდლობით, ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის დამატებითი ძალები გაიგზავნა. 22 მარტს ოსების აჯანყება ლიკვიდირებულ იქნა.

შემდეგი გამოსვლები 1918 წლის ივნისში საჩხერის რაიონში დაიწყო, რომელსაც **ი. ხარებოვი** ხელმძღვანელობდა. გამოსვლის მიზანი საქართველოს ჯარისა და სახალხო გვარდიის დამარცხება, ჭიათურა-შოროპნის რკინიგზის ხაზის დაკავება, ქუთაისზე გალაშქრება და საბოლოო ჯამში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით ფართომასშტაბიანი აჯანყება იყო. 1918 წლის 26 ივნისს აჯანყებულებმა **საჩხერე** აიღეს, თუმცა საქართველოს ჯარისა და სახლხო გვარდიის შეტევის შემდეგ მალევე დატოვეს. 19 ივნისს დუშეთის მაზრის აჯანყებულმა ოსებმა ქალაქი **დუშეთი** აიღეს და 26 ივნისს იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. საქართველოს ჯარმა და სახალხო გვარდიამ ოსი სეპარატისტები დუშეთის მაზრაშიც დაამარცხა. 1919 წლის 7 აგვისტოს ოსმა სეპარატისტებმა, საბჭოთა რუსეთის დახმარებით, **ჯავისა** და **როკის** ხეობებში აჯანყება დაიწყეს. ოქტომბრიდან ოსების აჯანყება გავრცელდა ოსებით დასახლებულ სხვა სოფლებშიც, მაგრამ წარმატება არ მოჰყოლია. აჯანყება დამარცხდა. ოსთა რიგით მესამე მასშტაბური აჯანყება 1920 წლის მაისში დაიწყო, როცა ქართული ჯარის ნაწილები საბჭოთა რუსეთის XI არმიის სამხედრო შენაერთებს ქვეყნის საზღვრებთან ებრძოდა. „სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის“ დადგენილებით, 1920 წლის 8 მაისს **როკის** რაიონში აჯანყებულმა ოსებმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. იმავდროულად მიიღეს ამ რაიონის საბჭოთა რუსეთთან შეერთების დადგენილებაც. აჯანყებულებს **როკის ხეობის, კუდაროს, ქემერტის** და **ყორნისის** ოსებიც შეუერთდნენ. იმავდროულად, შიდა

ქართლის ტერიტორიაზე ჩრდილო ოსეთიდან როკისა და მამისონის უღელტეხილებით **ვ. სანაკოევის** მეთაურობით ოსთა რაზმები შემოვიდა. აჯანყებულ ოსთა ძალები სოფ. **ჯავაში** შეერთდნენ. მათთვე შემოიტანეს დიდძალი იარაღი აჯანყებულებისათვის. ოსთა რაზმებს **ა. ჯატიევი, ა. აბაევი** და **მ. გაგლოევი** ედგნენ სათავეში. 1920 წლის 7 ივნისს აჯანყებულებმა **ცხინვალი** აიღეს, ხოლო 8 ივნისს ცხინვალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. 1920 წლის 12 ივნისს ქართულმა ჯარმა (სარდალი გენერალი **გიორგი კვინიტაძე)** და სახალხო გვარდიამ (მთავარი შტაბის ხელმძღვანელი **ვალიკო ჯუღელი)** **დაბა ცხინვალი** აიღო. 23 ივნისს აჯანყებული ოსების უკანასკნელი ნარჩენები როკის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიაში განდევნეს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ იმას, რასაც რუსეთის პრეზიდენტი ქართული ჯარის სასტიკ მოქმედებას და ოსების სეპარატიზმს უწოდებს, სინამდვილეში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას წარმოადგენდა. ოსი სეპარატისტები აჯანყებების წამოწყებას ვერ გაბედავდნენ რომ არა საბჭოთა რუსეთის დახმარება.

VII. რუსეთის პრეზიდენტი უკვე მერამდენედ აყალბებს საქართველოს ისტორიას, როდესაც აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დროს თავდაპირველად შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ხელშეკრულებითი რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში შევიდა დღევანდელი საქართველო. ეს მცდარი დასკვნა კიდევ უფრო მეტად მცდარი და ცინიკური დასკვნით მთავრდება: **„ეს საქართველოც კი არ იყო“** („Это даже не была Грузия“). ამ შემთხვევაში ვლადიმირ პუტინი ძალზე რთულ თემას შეეჭიდა, რომლის არსში გარკვევისათვის აუცილებელია თანმიმდევრობით გავაშუქოთ მოვლენები 1921 წლის თებერვალ-მარტიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც მომზადდა და განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ.

1921 წლის 2 იანვარს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმის მზადების პერიოდში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრები **გ. კ. ორჯონიკიძე** და **ს. მ. კიროვი** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდნენ: მხოლოდ იმის იმედად ყოფნა, რომ საქართველოში მოხდება გადამწყვეტი აფეთქება, არ შეიძლება. შესაძლებელია დავიწყოთ მოძრაობა (იგულისხმება აჯანყება - **ავტ**.) აფხაზეთში, აჭარაში, ბორჩალოს მაზრაშიო. მრავალი დოკუმენტი ცხადყოფს, რომ აფხაზეთში ბოლშევიკები მართლაც სერიოზულად ემზადებოდნენ აფხაზეთის გასაბჭოებისა და მისი რუსეთთან შეერთებისათვის.

1921 წლის 11-12 თებერვალს ღამით საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმია, სომხეთის ტერიტორიიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში შემოიჭრა. ომის დაწყებიდან სულ მალე, 13 თებერვალს, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წარმომადგენელი **ა. საჯაია** აფხაზეთის სახალხო საბჭოს „დამოუკიდებელთა“ ფრაქციის წევრ **მ. ცაგურიას** წერდა: იმედი მაქვს სავსებით შეგნებული გაქვთ, რომ აფხაზეთს ბოლოს და ბოლოს საშუალება აქვს სხვა მთიელი ხალხების მსგავსად თვითგამორკვევა მოახდინოსო. ასე რომ, **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ ომის დაწყებით აფსუა სეპარატისტებს და მათ მხარდამჭერ ბოლშევიკებს ხელსაყრელი დრო დაუდგათ თავიანთი მზაკვრული გეგმების განხორციელებისათვის.**

1921 წლის 4 მარტს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამ დროისათვის უკვე შექმნილი იყო **აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი,** რომელიც პირველი დღეებიდანვე აქტიურად შეუდგა აფსუა სეპარატისტთა გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლას. 1921 წლის მარტის დამდეგს აფხაზეთის რევკომის, ადგილობრივი ბოლშევიკი ლიდერების, საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსა და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდნენ აფსუა სეპარატისტები და მათი მფარველი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ლიდერები. სხდომის გადაწყვეტილებით გამოცხადდა **აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის** შექმნა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, უფრო ზუსტად ტერიტორიის ნაწილზე, მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკის - აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის - შექმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ნიშნავდა და ლახავდა მის სუვერენიტეტს.

1921 წლის მარტის დასაწყისში გამართული თათბირის მიერ მიღებული დადგენილება აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე აფხაზეთის რევკომის წევრმა **ეფრემ ეშბამ, ნესტორ ლაკობამ, პეტრე აღნიაშვნილმა** და **ნიკოლოზ აკირტავამ** 1921 წლის 26 მარტს საგანგებო წერილით აცნობეს საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვლადიმირ ლენინსა** და საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარს **იოსებ სტალინს**. აფხაზეთის რევკომის წევრები შეკითხვით მიმართავდნენ ვ. ლენინსა და ი. სტალინს: „იქნება აფხაზეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, თუ ადმინისტრაციული ერთეული და

როგორი იქნება საერთო პოლიტიკა აფხაზეთში? („Будет ли Советская Абхазия самостоятельной республикой или администативной единицей и какова должна быть общая политика в Абхазии?“). წერილში აფხაზეთის რევკომის წევრები აყალიბებდნენ თავიანთ შეხედულებას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო აფხაზეთის სტატუსი: „პირველი: აფხაზეთი უნდა გამოცხადდეს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად. მეორე: საბჭოთა აფხაზეთი უშუალოდ შედის საერთო-სარუსეთო ფედერაციაში“ („Первое: Абхазия должна быть объявлена социалистической советской Республикой. Второе: Советская Абхазия должна непосредственно входить в общероссийскую федерацию“). ზემოთ თქმულს აფხაზეთის რევკომის წევრები იმით ასაბუთებდნენ, რომ თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნაციონალისტური პოლიტიკის წყალობით აფხაზეთში ანტიქართული განწყობილება არსებობდა.

დოკუმენტურად არაა დადასტურებული, თუ რა უპასუხეს რევკომის წევრებს ვ. ლენინმა და ი. სტალინმა. მართალია პასუხის ტექსტი არ არსებობს, მაგრამ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის შემდგომი პროცესი ნათლად ადასტურებს ამ პასუხის შინაარს. ი. სტალინის გარეშე აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ვერ გადაწყდებოდა. 1921 წლის 10 თებერვალს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ **ი. სტალინმა აშკარად ანტიქართული პოზიცია დაიკავა, ანუ აფხაზ სეპარატისტებს დაუჭირა მხარი.** სტატიაში ი. სტალინი აღნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსები, აფხაზები და სომხები იჩაგრებოდნენ და საქართველო სომხეთისა და თურქეთის ხარჯზე აფართოებდა თავის ტერიტორიასო. ეს სტატია აფხაზი სეპარატისტების წაქეზების ტოლფასი იყო. ი. სტალინისათვის ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა იმას, თუ რა პრინციპებზე დაყრდობით მოხდებოდა აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება, არამედ იმას, რომ აფხაზი სეპარატისტები რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას მიესწრაფოდნენ.

1918-1921 წლებში სამხრეთ კავკასიაში არსებული სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოდან - საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკით და, რაც მთავარია, ევროპული ორიენტაციით ვ. ლენინისა და ი. სტალინისათვის ყველაზე მიუღებელი და გამაღიზიანებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. მოსკოვი შურს იძიებდა და სწორედ ამ შურისძიების შედეგი იყო აფხაზი სეპარატისტებისათვის მხარდაჭერა. აფხაზური ისტორიოგრაფია ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფხაზეთის გამოყოფა საქართველოდან მხოლოდ ვ. ლენინი უჭერდა მხარს, მაგრამ უამრავი დოკუმენტი ამტკიცებს, რომ ვ. ლენინი და ი. სტალინი ერთი გეგმით მოქმედებდნენ.

1921 წლის მარტის დამდეგის გადაწყვეტილებება 27 მარტს **ეფრემ ეშბამ** აფხაზეთის რევკომის სახელით რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მდივანს **სერგო ორჯონიკიძეს** აცნობა. სერგო ორჯონიკიძემ მოიწონა აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება, მაგრამ აფხაზეთის რევკომს ურჩია დროებით, მოსკოვში საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე, თავი შეეკავებინათ გადაწყვეტილების იმ პუნქტების დეკლარირებისგან, რომელიც რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის უშუალო შესვლას გულისხმობდა. ეფრემ ეშბა და სერგო ორჯონიკიძე შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის წინასწარი განხილვის მიზნით ქალაქ ბათუმში შეიკრიბებოდნენ. 1921 წლის 28-29 მარტს ბათუმში **სერგო ორჯონიკიძის** თავმჯდომარეობით გაიმართა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენლობითი თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ: **შალვა ელიავა, სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა.** თათბირმა განიხილა საკითხი, რომელიც ასე იყო ფორმულირებული: „**აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის სტრუქტურის შესახებ**“. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო:

1. აფხაზეთის საბჭოების ყრილობის მოწვევამდე რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან საბჭოთა აფხაზეთის ფედერაციულ კავშირში შესვლის საკითხი რჩება ღიად;

2. აფხაზეთი ცხადდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად;

3. აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია კონფერენციის მოწვევამდე იწოდება რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) საორგანიზაციო ბიუროდ აფხაზეთში, რომელიც მუშაობს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის ბიუროს დირექტივებით;

4. საქართველოს რევკომის დეკრეტები აფხაზეთის რევკომისათვის წარმოადგენს მასალას, რათა რევკომებს შორის წინააღმდეგობა არ წარმოიშვას.

(„До съезда Советов Абхазии вопрос о Федерации Советской Абхазии с РСФСР и ССРГ остается открытым, и Абхазия объявляется Социалистической Советской Республикой.

Партийная организация до конференции носит название Оргбюро РКП (б) в Абхазии и работает по директивам Кавбюро ЦК РКП (б).

Декреты Ревкома Грузии должны служить для ревкома материалом, чтобы не было противоречий в действиях обоих ревкомов“).

ბათუმის თათბირის დადგენილება აფხაზეთის რევკომმა 1921 წლის 31 მარტს გაუგზავნა რუსეთის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვლადიმირ ლენინს,** ეროვნებათა სახალხო საქმეთა კომისარ **იოსებ სტალინს,** საგარეო საქმეთა სახალხო საქმეთა კომისარ **გიორგი ჩიჩერინს,** კავკასიაში არსებული საბჭოთა რესპუბლიკების რევოლუციური კომიტეტების თავმჯდომარეებს. აფხაზეთის რევკომი იუწყებოდა: „**მშრომელთა ნებით იშვა ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა - აფხაზეთი. აფხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა საბოლოოდ გადაწყვეტს ხალხის ბედს**“. როგორც ვხედავთ 1921 წლის 28-29 მარტს ბათუმში გამართულ თათბირს **აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად არ გამოუცხადებია, ამ საკითხზე გადაწყვეტილება აფხაზეთის საბჭოების პირველ ყრილობას უნდა მიეღო.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკური ლიდერები კარგად ხვდებოდნენ, თუ რა განწყობილება სუფევდა მოსკოვში აფხაზეთთან დაკავშირებით. ამიტომ იყო, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა ბათუმის თათბირის გადაწყვეტილება მოიწონა, თბილისშიც აჩქარდნენ. 1921 წლის 14 მაისს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხი და სწორად ცნო ბათუმში 1921 წლის 28-29 მარტს გამართული თათბირის გადაწყვეტილება. ბევრი აღარ დაახანა და 1921 წლის 21 მაისს მსგავსი დადგენილება მიიღო საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმაც. 1921 წლის 28 მაისს აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ აფხაზეთის სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: **„ნაციონალური შუღლის აღმოსაფხვრელად და საქართველოსა და აფხაზეთის ძმური კავშირის განსამტკიცებლად საბჭოთა აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება აღიარებულ იქნას სწორად. ყრილობა გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოსა და აფხაზეთის მუშათა და გლეხთა სრულუფლებიანი საბჭოების პირველი ყრილობა თვით განსაზღვრავს საქართველოსა და აფხაზეთის ძმური თანამშრომლობის საბოლოო ფორმას“.** ეროვნულ საკითხზე ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის საბჭოების პირველი ყრილობა მიესალმებოდა უმჭიდროესი კავშირისა და ძმური ურთიერთობის დამყარებას ყველა რესპუბლიკასთან, ხოლო **„პირველ რიგში, კულტურით, ეკონომიურ-გეოგრაფიული მდგომარეობითა და ყოფა-ცხოვრებით ყველაზე ახლო მდგომ საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან“**.

1921 წლის მაისის შემდეგ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდებოდა. საქმე გვქონდა გაუგებარ და, რაც მთავარია, სამართლებრივად შეუსაბამო ფაქტთან: **საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ერთი სახელმწიფო - საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და იმავდროულად იმავე ტერიტორიაზე, უფრო სწორედ მის ნაწილზე, შეიქმნა მეორე დამოუკიდებელი რესპუბლიკა - აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.** იმ ხანად ეს იურიდიული შეუსაბამობა ერთადერთი არ იყო და მას რამდენიმე პრეცენდენტი ჰქონდა, მათ შორის რუსეთშიც:

1. 1918 წელს შეიქმნა დონის საბჭოთა მთავრობა;
2. 1918 წელს შეიქმნა ყუბან-შავიზღვისპირეთის რესპუბლიკა;
3. 1918 წლის 20 მარტს მოსკოველი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ინიციატივით რუსეთის 14 გუბერნია გაერთიანდა და შეიქმნა ამ გაერთიანების მთავრობაც - სახალხო კომისართა საბჭო;
4. პეტროგრადში ფუნქციონირებდა ჩრდილოეთის ოლქის სახალხო კომისართა საბჭო;
5. უფის, ვიატკის, ორენბურგისა და პერმის გუბერნიების გაერთიანებას სათავეში ედგა ურალის ოლქის სახალხო კომისართა საბჭო.
6. ყირიმის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც სახალხო კომისართა საბჭო განაგებდა.

1921 წლის გაზაფხულზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკურმა ელიტამ სიბრძნე და წინდახედულება ვერ გამოიჩინა და მსოფლიო რევოლუციის იდეით შეპყრობილმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში სერიოზული შეცდომები დაუშვა, რის გამოვლინებასაც აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა. ქართველი ბოლშევიკები, ისევე როგორც რუსი ბოლშევიკები, დარწმუნებული იყვნენ, რომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში საერთოდ ყველაფერი შეიცვლებოდა, პირველ რიგში, აღარ იქნებოდა საზღვრები სახელმწიფოთა შორის. ყოველივე ამის მიუხედავად, პასუხისმგებლობას საქართველოს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები თავიდან ვერ აიცილებენ, თუმცა, ისიც ცხადია, რომ მოსკოვის ძლიერი წნეხის პირობებში ისინი უსუსურები იყვნენ.

ყოველივე ზემოთ თქმულის ფონზე შეიძლება დაუჯერებლადაც კი ჩანდეს რამდენიმე ფაქტი, რომელიც მალევე მოხდა. 1921 წლის 5 ივლისს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის ბიურომ მიიღო დადგენილება, რომელიც კომუნისტურ ორგანიზაციებს მოუწოდებდა ემუშავათ იმ მიმართულებით, რომ **აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში.** 1921 წლის 23 ივლისს სოხუმში

გაიმართა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიუროს აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის წევრების თათბირი, რომელსაც ასევე ესწრებოდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წევრი **არმენაკ ნაზარეტიანი**. თათბირმა მოისმინა **ნესტორ ლაკობას** მოხსენება „საბჭოთა აპარატის გარდაქმნისა და ფედერალიზმის“ შესახებ. ნესტორ ლაკობა აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის „ეთნოგრაფიული, ისტორიული და ყოფაცხოვრებითი პირობების გამო“ **აუცილებელი იყო საქართველოსა და აფხაზეთის ფედერირება.** თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა აფხაზ ხალხს „მაქსიმალური ავტონომიური უფლებების“ გარანტია მისცა. **თათბირმა განუხორციელებლად მიიჩნია აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობა და გამოთქვა რწმენა, რომ აფხაზეთის მშრომელების ყრილობა ახლო მომავალში დაადასტურებდა აფხაზეთისა და საქართველოს ფედერაციული კავშირის აუცილებლობას.** 1921 წლი 15 ოქტომბერს ამავე საკითხებზე იმსჯელა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიუროს, აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის წევრებმა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკების თათბირმა. თათბირმა მოიწონა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ამავე დროს აღნიშნა აფხაზეთის მოსახლეობის მცირერიცხოვნობა (იგულისხმება აფსუების მცირერიცხოვნობა), მისი ისტორიული და ზნე-ჩვეულებითი კავშირი ქართველ ხალხთან.

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო აფხაზეთის ეროვნული შემადგენლობით დაინტერესდა. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურომ კავკასიის ბიუროს 1914 წლის მონაცემები მიაწოდა. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ აფხაზეთში 181.382 სული ცხოვრობდა, მათ შორის:

1. **ქართველური ტომები** (ოფიციალური რუსული სტატისტიკა ქართველურ ტომებში გულისხმობდა: მეგრელს, გურულს, იმერელს, სვანს და მეგრელებიდან პოლიტიკური მიზნით საგანგებოდ გამოყოფილ „სამურზაყანოელებს“, იგივე მეგრელებს - **ავტ**.) – 70.114, ანუ მთელი მოსახლეობის 38.5%;

2. მთიელები და აფხაზები (იგულისხმებიან აფხაზები, აფსუები, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელები - ჩერქეზები და სხვები - **ავტ**.) – 45.705, ანუ მთელი მოსახლეობის 25%;

3. სხვადასხვა აზიური ხალხები – 20.196, ანუ მთელი მოსახლეობის 11.1%;

4. რუსები - 18.097, ანუ მთელი მოსახლეობის 9.9%;

5. სხვა ევროპელი ხალხები (იგულისხმებიან ბერძნები, გერმანელები, ესტონელები, პოლონელები და სხვ. - **ავტ**.) – 13.784, ანუ მთელი მოსახლეობის 7.6%;

6. სომხები - 13.038, ანუ მთელი მოსახლეობის 7.5%;

7. ებრაელები - 448, ანუ მთელი მოსახლეობის 0.3%.

1921 წლის 15 ოქტომბრის თათბირმა საჭიროდ მიიჩნია საქართველოსა და აფხაზეთს შორის მტკიცე კავშირის დამყარება ხელშეკრულების დადების გზით. ამ მიზნით თათბირმა თბილისში მიავლინა **ეფრემ ეშბა** და **ს. კუხალეიშვილი.** 1921 წლის 21 ოქტომბერს ე. ეშბამ სპეციალური წერილი გაუგზავნა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს. ე. ეშბა კავბიუროს თხოვდა სასწრაფოდ გადაეწყვიტა საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის საკითხი.

1921 წლის 1 ნოემბერს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე იმსჯელა. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: **სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, ალექსანდრ მიასნიკოვი (მიასნიკიანი), არმენაკ ნაზარეტიანი, იური (იაკობ) ფიგატნერი** და **ეფრემ ეშბა.** თათბირმა შემდეგი შინაარსის დადგენილება მიიღო:

1. აუცილებლად იქნეს მიჩნეული დაიწყოს საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე ხელშეკრულების პროექტის შემუშავება; 2. პროექტის შემუშავებისათვის შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ეშბა, ელიავა, ლეგრანი**, ლეგრანის თავმჯდომარეობით; 3. ხელშეკრულების შემუშავებული პროექტი დასამუშავებლად წარედგინოს რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პრეზიდიუმს; 4. კომისიამ მუშაობა დაასრულოს 10 ნოემბრისათვის („1. Считать необходимым приступить к выработке проекта договора о взаимоотношениях между Грузией и Абхазией. 2. Для разработки проекта договора выбрать комиссию в составе т. т. Эшба, Элиава, Леграна под председательством тов. Леграна. 3. Разработанный проект договора представить на утверждение Президиума Кавбюро ЦК РКП. 4. Работа комиссии должна быть закончена к 10 ноября“).

არსებობდა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის კიდევ უფრო მიუღებელი ვარიანტი. 1921 წლის 16 ნოემბერს გაიმართა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: **იური (იაკობ) ფიგატნერი, არმენაკ ნაზარეტიანი, შალვა ელიავა, ბუდუ მდივანი, მარკოვი, მირონოვი, ეგოროვი, ეფრემ ეშბა** და სხვები. მოსკოვის დირექტივის თანახმად, კავკასიის ბიურო იძულებული გახდა მიეღო შემდეგი დადგენილება: 1. ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა; 2. წინადადება მიეცეს ეფრემ ეშბას წარმოადგინოს საბოლოო დასკვნა საქართველოს ფედერაციაში აფხაზეთის

ხელშეკრულების საფუძველზე შესვლასთან, ან საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური ოლქის სახით შესვლასთან დაკავშირებით („1. Считать экономически и политически нецелесообразным существование независимой Абхазии. 2. Предложить тов. Эшба представить свое окончательное заключение о вхождении Абхазии в состав федерации Грузии на договорных началах или на началах автономной области в РСФСР“).

უფრო ადრე, 1921 წლის 14 ნოემბერს, ეფრემ ეშბამ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მიმართა წერილით, რომელშიც აყენებდა წინადადებას, რომ **აფხაზეთი საქართველოს გვერდის ავლით უშუალოდ შესულიყო ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში.**

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 1921 წლის 16 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო სამხედრო-პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულება. ხელშეკრულების ძალით, გაერთიანდა ამ ორი რესპუბლიკის რამდენიმე სახალხო კომისიარიატი და უწყება: სამხედრო, საფინანსო, სახალხო მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის, იუსტიციის, საზღვაო ტრანსპორტისა და სხვ. ხელშეკრულებაში საგანგებოდ აღნიშნული იყო: საგარეო პოლიტიკის საკითხები მთლიანად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამგებლობაში რჩებოდა; რკინიგზა გადადიოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უშუალო გამგებლობაში, საგარეო ვაჭრობა - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გაერთიანებული სამმართველოს გამგებლობაში. ხელშეკრულებაში ასევე საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ აფხაზეთი ყველა სამხარეო გაერთიანებაში, მათ შორის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციაში საქართველოს მეშვეობით შედიოდა. საქართველო სხვადასხვა ორგანიზაციაში წარმომადგენლობის განსაზღვრისას აფხაზეთს უთმობდა ადგილების ერთ მესამედს. ხელშეკრულებას საქართველოს მხრიდან ხელს აწერდა **სერგო ქავთარაძე,** აფხაზეთის მხრიდან - **ნიკოლოზ აკირტავა** და **ს. კარტოზია**.

მართალია, აფხაზეთი 1921 წლის 16 დეკემბრიდან **სახელშეკრულებო რესპუბლიკად** იწოდებოდა, მაგრამ ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები მას ფაქტობრივად **ავტონომიურ რესპუბლიკად** განიხილავდნენ. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაშიც აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად მოიხსენიება. აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად მოიხსენიება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 22 თებერვლის სხდომის ოქმშიც. 1922 წლის იანვარში გაიმართა აფხაზეთის პირველი საოლქო პარტიული

კონფერენცია. კონფერენციაზე **ნესტორ ლაკობამ** განაცხადა: „Когда мы, ответственные работники Абхазии, сказали нашим старшим товарищам по партии, что для того, чтобы среди мелких народностей, как например, абхазской, сохранить идею Советской власти – это очень важно, нужно на минуту обьявит Абхазию независимой республикой, - нам ответили: „Объявляйте себя независимой республикой, лишь бы это помогло укреплению советской идеи, укреплению советского строя в этой крошечной Абхазии“. А советская Абхазия, просуществовав как независимая республика, говорит: исторические и экономические условия требуют того, чтоби Абхазия и Грузия составляли одно целое...“. 1922 წლის მაისში **ნესტორ ლაკობა** აღნიშნავდა: „Мы суверенное государство, правда, советское государство, но не независимое. В этом отношении нам надо было не забываться, мы должны были сказать, что эти политические формы, объвление независимости и т. д. – чепуха. Этим соблазняться не надо было. Нам нужна была вывеска, но преклоняться перед вывеской не надо было“. აფხაზეთის დამოუკიდებლობის დროებით ხასიათზე მიანიშნებდა **ეფრემ ეშბაც**: „После того, как советские войска вошли в Сухуми, на заседании ответственных работников как местных, так и российских, и работников Грузии, мы единодушно остановились на том, что для изживания национальной розни необходимо, хотя бы временно до съезда Советов объявить независимость Абхазии. Против этого не протестовал никто, хотя это было и несколько неожиданным. Даже мы, которые двигались оттуда, с севера, думали, что Абхазия будет существовать как составная часть Советской Грузии, но когда мы сюда приехали и разобрались, в какую атмосферу мы попали, мы вынуждены были такую форму независимости Абхазии принять. Против этого не протестовал никто, не протестовали и наши высшие партийные органы, как Грузии, так и России“.

ამრიგად, თვით აფხაზი ბოლშევიკების აღიარებით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოცხადდა **„დროებით“**, **„ერთი წუთით“, „აბრისათვის“** და ა.შ. სინამდვილეში აფხაზეთი არასდროს არ ყოფილა დამოუკიდებელი. ათი წლის განმავლობაში (1921-1931 წწ.) აფხაზეთი მთლიანად დამოკიდებული იყო საქართველოზე, ხოლო თვით საქართველო ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ და, ცხადია, საქართველო დამოკიდებული იყო საბჭოთა რუსეთზე და შემდეგ - საბჭოთა კავშირზე.

VIII. 1931 წელს აფხაზეთის იურიდიული და ფორმალური სტატუსი საბოლოოდ გაირკვა და **აფხაზეთი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ავტონომიად იქცა**. აფხაზეთის ავტონომიად გადაქცევას რუსეთის პრეზიდენტი იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას დამსახურებად მიიჩნევს და თვლის, რომ ამ ფაქტით აფხაზი ხალხის ინტერესები შეილახა, რადგან აფხაზეთი საქართველომ გადაყლაპა: „Во времена Сталина была создана Социалистическая Республика Грузия, составной частью которой стала Абхазия. Но по указанию Сталина

НКВД во главе с Берией предпринял очень жёсткие меры в отношении абхазов, даже не хочу сейчас воспроизводить, с целью поглощения Грузией этой территории и абхазского народа». რატომღაც ვლადიმირ პუტინს ავიწყდება, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისა და ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა (საბჭოთა რესპუბლიკა, ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ა.შ.) იოსებ სტალინმა განსაზღვრა და ეს სისტემა თითქმის უცვლელად არსებობდა საბჭოთა კავშირის აღსასრულამდე. ამას მხოლოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ვლადიმირ პუტინისათვის გეოპოლიტიკური კატასტროფის ტოლფასი იყო, ანუ რუსეთის პრეზიდენტი იზიარებდა ერების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სტალინისეულ თვალსაზრისს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: როგორც არ უნდა სცადოს ვლადიმირ პუტინმა გაამართლოს რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ისტორიულ ფაქტებს ვერსად გაექცევა. როგორც XIX, ასევე XX და XXI საუკუნეებში ქართველი ერი იბრძოდა და იბრძვის ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის. ეს დიდი მსხვერპლის ფასად მიღწეული იქნა 1918-1921 წლებში, ასევე 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადებით. საქართველო სწორედ ამისთვის ისჯება, ამის გამოძახილი იყო რუსეთის მიერ ინსპირირებული კონფლიქტები აფხაზეთსა და შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში (ე. წ. "სამხრეთ ოსეთში"), რომლებიც „დაგვირგვინდა" 2008 წლის აგვისტოს ომით. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ცდილობს გაყალბებული ისტორიით გაამართლოს სუვერენული ქვეყნის ტერირორიული მთლიანობის ხელყოფა, საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის" აღიარება. სამხედრო ძალით რუსეთმა ეს მოახერხა, მაგრამ არსებობს საერთაშორისო სამართალი და ისტორიული სიმართლე. საქართველოს ორივეს იმედი აქვს.

სერგო ვარდოსანიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვახტანგ გურული - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლევან ჯიქია - ისტორიის აკადემიური დოქტორი

25 ივლისი, 2019 წ.